# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 71 ოთხშაბათი, 31 მარტი 1910 წ. № 71

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. საძლღვიარე განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ ხალამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე უქმე-ეუქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელ არ ინახება ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება მიიღება ყოველ დღე, უქმე-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან საღამოს 3 საათამდე. ადმინისტრატორი ... 

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „Дроэба".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებითი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



„დროების" კანტორა მოაგონებს წლიურ ხელის მომწერთ, რომ პირველ აპრილისთვის მათ შემოტანილი უნდა ჰქონდეთ 5 მანეთი. ვისაც 3 მან. 20 კაპ. ნაკლები აქვს შემოტანილი, იმას გაზეთის გზავნა მოესპობა.

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 8 აპრილს, 1910 წ.

ქართულ თეატრის კაპელდინერების სასარგებლოდ

ნ. გაბუნია-ცაგარლის, ვ. აბაშიძის და სხვების მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

## ალლუმი

მხიარული კომედია 4 მოქმედ. ვ. გუნიას მიერ გადმოკეთებული.

მონაწილეობენ: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ა. კარგარეთელი, მ. ვიქტორელი, ნ. გამყრელიძისა, ვ. ნებიერიძისა, ბ. ასათიანი, ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, გ. გედევანოვი, ვ. გამყრელიძე, ა. იმედაშვილი, გ. იმხნელი, დ. მგალობლიშვილი, შ. საფაროვი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.——დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.

რეჟისორი ვალ. გუნია. (3—3)



## სახაზინო თეატრი

ოთხშაბათს, 31 მარტს

პირველი წარმოდგენა

სასახლის არტისტის

## რობერტ ლენცისა

## ელეონორა ლენცის მონაწილეობით

ყველგან დიდი წარმატება. დასაწყისი საღამოს 81/2 საათზე.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. დაწვრილებით აფიშებში. (2—ხალ.—2)

## სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შ-ბი ქუთაისში

ამით აცხადებს, რომ მათ მიიღეს განსაკუთრებითი უფლება გაყიდვის რამდენიმე წლით საუკეთესო ხარისხის **ცნობილი ფირმის ხ. ს. ხრისტოდულიდის აბრეშუმის თესლისა**, მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ მათ საკუთარ სავაჭროში ქუთაისში. რადგანაც თესლი შემზადებულია საგანგებოთ ქუთაისის გუბერნიის ჰავაზე, ამიტომ მყიდველთ უნდა მიაქციონ განსაკუთრებითი ყურადღება კოლოფზე ქართულ ნაწერს და ბეჭედს სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შვილებისას. (45—151—40)

## გამგეობა „ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა"

ამით აცხადებს, რომ წელს ამხანაგობას აქვს შეძენილი საგანგებოთ დაკვეთილი და წარსულ წლებში გამოცდილ **აბრეშუმის ჭიის თესლი ძმ. პასხალიდის** ფირმისა.

მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ თესლი შემდეგ ადგილებში:

1. **ს. კუხში**—ამხანაგობის სამმართველოს ფარდულში; 2. **ბათუმში**—თვით მეთესლეს წარმომადგენელ მანუილიადისთან და მათე რუხაძესთან; 3. **ქუთაისში**—კანტორა „**იმერეთში**" და კიწმარიშვილის თესლეულობის მაღაზიაში; 4. **ახალ-სენაკში**—ვარლამ ჩაჩიბაიასთან; 5. **სამტრედიაში**—პორფილე ქეიშვილთან და აგრეთვე ქუთაისის მაზრის ყველა დაბებში და ლეჩხუმში. (6—კვ.—6)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე გ. დ.**: შინ. და ბავშვ. ყ.- დ ხას. 1—2 ს. დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ. ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი გ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ.,

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარასკ. 2 2-ნახ. ს.

**ფირმდოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე

**პაპოვი ვ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყო. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

**ხობოლევსკი გ. გ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (200—ნ.—144)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**გ. გაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—$2^1/_2$ ს. თვალისა,

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—307)

**ექიმი** სპეციალისტი ქ. ქუთაისში **გ. დ. ბეთანოვი**

მიიღებს სიფილისით, ვენერიულის და კანის სენით ავადმყოფებს. აფთიაქის და კლუბის ქ. ქ. კუთხეში N 24/2 ყოველდღე დილის 9—12 ს. და საღამოს 5—8 ს. (25—ფ.—26)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აზიორნის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—400)

**ექიმი** ქუთაისში **კ. თ. ტუეშელაშვილი**

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, სამარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი). დილით 9—12, საღამოთი 5—7 საათ., კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (72—კვ.—7)

**ექიმი** გაბ. ი. გოკიელოვი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. $5^1/_2$—$6^1/_2$ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება, (ელექტრონის საშუალებით ბუშტის და სამარდე მილის გასინჯვა საღამოს $6^1/_2$—8 ს. ტუბერკულიოთ წამლობა ჰელქიანებისა, ელექტროთერაპია, ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (50—კვ.—36)

ქუთაისში

**კბილის ექიმი ა. ა. ბუტულოვისა**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. და საღამოთი 4—7 ს. მოსწავლენი იხდიან ნახევარს. გიმნაზიის ქ., ა. თუმანოვის სახლი, ბულვარის პირდაპირ. 25—კვ.—10

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—35)

**ექიმი** კბილისა **რომანიშვილი-დგებუაძისა**

იღებს ავადმყოფებს 2—6 საათზე. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასში. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ბინა: ავჭალის ქუჩა, N 34. (50—ნ.—50

**ექიმი ი. იაკ. გოკიელოვი**

მიიღებს ავადმყოფებს ვენერიულ, სიფილისის, კანის სატკივრებისა, აგრეთვე სქესობრივ უღონობისას 9—12 ს. და 5—8 ს. საღამოს. მიხაილოვის ქუჩა, N 113, ვეტცელის სასტუმროს გვერდით. (3—209—2)

**ექიმი ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—94

**ექიმი შ. მიქელაძე**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაბგეროვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—60)

**ექიმი** ქუთაისში **ფ. ი. გასნევსკი**

იღებს ავადმყოფებს **შინაგან სნეულებათა** და ბებიაობისას დილით 11—1 საათამდე, საღ., 5—7 საათამდე. გაზაკოვის ქ. N 13. ღარიბებს უფასოდ. (25—კვ.—18)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე**

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ

**ექიმი დ. ახვლედიანი**

იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი ვასილ წერეთელი** ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—150)

**ბებია** ქალი სოფიო ილიას ასული გელხორდტ-ლოკიში

რომელიც მუშაობდა მიუნხენის სამეფო დედათა პოლიკლინიკუმში, დაბრუნდა ტფილისში და ხელახლა შეუდგა ავადმყოფთა მიღებას. დიდი ვანქის ქ., N 4, სახლი მალაევისა, სამხედრო ექიმების სამკურნალოს პირდაპირ. (12—205—2)


## სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. ტელ. სააგენტ.)

### ადგილობრივ სასამართლოს რეფორმა.

29 მარტს პირველად სათათბირომ მიიღო კანონ-პროექტი ოლქის სასამართლოს დაარსების შესახებ ბარნაულში და ტომსკის ოლქის სასამართლოს შტატის შემცირების შესახებ.

შემდეგ სათათბირომ განაგრძო განხილვა კანონ-პროექტისა ადგილობრივ სასამართლოს რეფორმის შესახებ. როგორც ვწერდით, წინა სხდომაზე კამათი იყო ცენზის შესახებ მოსამართლეებისთვის. ოპოზიცია წინააღმდეგი იყო ცენზისა. სათათბირომ მიიღო კომისიის აზრი, რომლითაც მოსამართლეებისთვის დაწესდება ნახევარი იმ ცენზისა, რაც მიღებულია საერობო გამგეობის ხმოსნების არჩევნებში მონაწილეობისთვის ქონებრივი ცენზი სავალდებულო არ არის მხოლოდ იმ მოსამართლეებისთვის, რომელთაც უმაღლესი იურიდიული განათლება ექნებათ მიღებული.

შემდეგ კამათი გამოიწვია მემარჯვენეების წინადადებამ. ერთი მუხლის განხილვის დროს მემარჯვენეებმა წინადადება შეიტანეს, დაემატოს მუხლს შენიშვნა, რომ ებრაელების არჩევა მოსამართლეებად შეუძლებელიაო. დაისვა საკითხი, გაიმართოს თუ არა კამათი მემარჯვენეთა წინადადების შესახებ.

**ზამისლოვსკი** (მემარჯვენე) ამტკიცებდა, რომ სათათბიროს უფლება არა აქვს, არ იკამათოს ამ საყურადღებო საკითხზეო.

**მარკოვმა მეორემ** (მემარჯვენე) დიდ ხანს ილაპარაკა. ყველა ებრაელიო,—სთქვა მან:—შედის ებრაელთა მსოფლიო კავშირში, რომელიც სცდილობს ყველა სახელმწიფოში მართვა-გამგეობა ხელთ ჩაიგდოს. ამ რიგად ებრაელები სახელმწიფოს მტრები არიან და მათი მოსამართლეებად არჩევა შეუძლებელიაო. ორატორმა მოიყვანა სხვა და სხვა ციტატა, სადაც ებრაელობა ცუდ ხალხად არის გამოყვანილი, და დასასრულ სთქვა, ებრაელებს იუსტიციაში ვერ შეუშვებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში თავზე დაგატყდებათ ღვთისა და ხალხის სამართალიო.

**თავ. ტენიშევი** (ოქტომბრისტი) წინააღმდეგი იყო ამ საკითხის განხილვისა. ამ საკითხს საზოგადო მნიშვნელობა აქვს და უნდა ცალკე კანონპროექტი შემუშავდესო.

**კარაულოვმა** (კადეტმა) განაცხადა, რომ მარკოვის მიერ მოყვანილი ციტატები ყალბ და გამოგონებულ წყაროებიდან არის ამოღებულიო. ასეთი ყალბი ცნობებით არ შეიძლება ტალახში ამოსვრა მთელი ხალხისა, რომელსაც დიდი ისტორიული წარსული აქვსო.

**პოლოვცევმა** (ნაციონალისტი) ნაციონალისტებისა და მემარჯვენე ოქტომბრისტების სახელით განაცხადა, საკითხი დიდად საყურადღებოდ მიგვაჩნია და მხარს დაუჭერთ მარკოვის წინადადებასაო.

სათათბირომ, 165 ხმით წინააღმდეგ 134 ხმისა, დაადგინა, გადასდოს განხილვა მარკოვის წინადადებისა იმის შესახებ, რომ ებრაელებს არ შეეძლოთ არჩეულ იქმნან მოსამართლეებად.

კანონ-პროექტის შემდეგი მუხლების განხილვა საინტერესო არას წარმოადგენდა.


ქუთაისის ქალაქის

## გამგეობა

აცხადებს, რომ მდგომარე 1910 წლის 28 აპრილს, ქალაქის გამგეობის სადგომში მოხდება შეკრება იმ პირთა, რომელთაც სურთ იკისრონ ქალაქის გეგმის (პლანის) შედგენა. პირობების გაცნობა და სხვა საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ქალაქის გამგეობაში ყოველ დღე, დილის 10-დან ნაშუადღევის 2 საათამდი, გარდა კვირა-უქმე დღეებისა. (5—ნ.—2)

## გამგეობა

ტფილისის სასოფლო-სამეურნეო საურთიერთო

## ნდობის საზოგადოებისა

აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ განგრძობა მორიგის წლიურის კრებისა დანიშნულია კვირას, 4 აპრილს, დილის 11 საათზე საზოგადოების სადგომში (1—ნ.—1)

## ქვის ქარხანა

გვაქვს დამზადებული ძეგლები, მშვენიერი ფორმისანი, ალგეთის ქვისა და განჯის ფერად და თეთრ მარმარილოსი, დიდრონები და პატარებიც, ყველა ფასიანი. აგრეთვე ვიღებთ შეკვეთით იტალიის თეთრ მარმარილოს ძეგლებს.

შეკვეთილი ძეგლები მზადდება სუფთად, ჩვენ თითონვე ვმართავთ საფლავზე, ძეგლები მაისის გასვლამდე მეტად დაკლებულ ფასებში გაიყიდება.

ადრესი: კუკიის სასაფლაოს პირდაპირ, **ქვის ქარხანა გრიგოლ და ლევანტი მარუტაძეებისა.** (8—208—2)


## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშთა სააგენტოსაგან)

30 მარტი.

### საზღვარ-გარედ.

**სალონიკი.** 28 მარტს, დილის 8 საათზე, სერბიის მეფე პეტრე ათონში ჩავიდა. მეფეს დაუხვდნენ სერბიის კონსული, სალონიკის ვილაეთის ჟანდარმთა უფროსი და სხვანი. მეფემ წირვა მოისმინა, რის შემდეგ წარუდგინეს ბერები. მეფე ათონში 29 მარტის საღამომდე დარჩება და შემდეგ სალონიკში წავა. მეფეს თან ახლავს ამალა და სერბიის სტამბოლელი სამხედრო აგენტი.

**სენშამონი.** მინისტრ-პრეზიდენტის ბრიანის წასვლის შემდეგ ანარქისტებს და პოლიციას შეტაკება მოუვიდათ. დააპატიმრეს რამდენიმე კაცი. სამ დაპატიმრებულს რევოლვერები წაართვეს. მსუბუქად დაიჭრა რამდენიმე პოლიციელი. ბრიანს უნდოდა ხელი შეეშალა შეტაკებისთვის, მაგრამ ხალხმა უსტვინა და ქვები ესროლა. ბრიანი იძულებული გახდა ხალხს მოშორებოდა. მინისტრ პრეზიდენტი თავდაჭერილად იქცეოდა. საღამოს 6 ნახ. საათზედ პოლიციამ წესიერება აღადგინა.

**სენშამონი.** ნადიმზედ მინისტრ-პრეზიდენტმა ბრიანმა, სხვათა შორის, სთქვა: არჩევნების დროს მთავრობის წარმომადგენელნი საქმეში არ ჩაერევიან, და საჭიროა ამის შემდეგ გაბედულად დავადგეთ სოციალურ პროგრესსის გზას. ის რესპუბლიკა, რომელიც არ დაიცავს თავისუფალ არჩევნებს, თვითონვე გასთელავს თავის ძირითად პრინციპებს. რაც შეეხებათ მოხელეებს, ვიტყვი, როდესაც ეს უკანასკნელნი გარანტიებს მიიღებენ, ისინი მოვალენი იქნებიან თავი მიანებონ მანიფესტაციებს და მუქარას და პოლიტიკურ ბრძოლაში ზომიერი მონაწილეობა მიიღონ. მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭიროა შემდეგი ზომების მიღება: მუშების და მექარხნეების უთანხმოების განსახილველად შემოღებულ უნდა იქმნეს სამედიატორო სასამართლოები, მუშებს უფლება უნდა მიეცეთ დასდონ კოლექტიური ხელშეკრულება წარმოების მოგებაში წილის მიღების შესახებ, ანტიმილიტარიზმს ადგილი არ უნდა ჰქონდეს მუშებში და სოციალისტები უნდა მიხვდნენ, რომ საჭიროა სხვა მოქალაქეებთან ერთად მოქმედება სამშობლოს დასაცველად.

**სალონიკი.** 23 მარტის შეტაკების შემდეგ, რომლის დროს ოფიციალური წყაროებით ოსმალებმა დაჰკარგე 40 მოკლული და დაჭრილი, ალბანელები ძველ პოზიციებზედ დარჩნენ და ეხლა იერიშის მისატანად ემზადებიან. მეამბოხეთა რიცხვი თანდათან იზრდება და ამჟამად 20,000 კაცს უდრის. ის ზარბაზანი, რომელიც ალბანელებმა ოსმალეთის ჯარს წაართვეს, ჯარმა დაიბრუნა. ხმა დადის, 26 მარტს ჯარსა და ალბანელებს ხელმეორედ შეტაკება მოუვიდათო. ჯარმა ალბანელები უკუ აქცია. ალბანელებმა დაჰკარგეს 200, ჯარმა 50 კაციო. იპეკსა და პრიშტინში, სადაც ბევრი ალბანელი დააპატიმრეს, სამხედრო სასამართლოები მოქმედებენ.

**სენშამონი.** უცნობი, რომელიც ნადიმზე დააპატიმრეს, ესპანელი აღმოჩნდა. ნადიმის შემდეგ, მანიფესტაციის დროს შეტაკება მოუვიდათ 200 ანარქისტს და მინისტრ-პრეზიდენტ ბრიანის მომხრეებს. ანარქისტებმა რამდენჯერმე რევოლვერი ისროლეს. ბრიანი პირველ რიგში იდგა და უნდოდა წინ წასვლა, მაგრამ მეგობრებმა შეაჩერეს. ხალხი აღშფოთებით შეხვდა ანარქისტების მოქმედებას და ბრიანს აღტაცებით მიეგება.

**სტამბოლი.** მთავრობის ცნობით, პრიშტინის ახლო მოგროვილ ალბანელებს შერიგება სურთ. მათთან მოლაპარაკება აქვთ გამართული. როგორც კონსულის მოხსენებიდან სჩანს, მოძრაობა დღითი-დღე ვრცელდება მიტროვიცის ოლქში და საფიქრებელია, რომ მთელ ალბანეთს მოედოს. ჯერ-ჯერობით აქედან ალბანიაში გაიგზავნა ჯარის 12 ბატალიონი. ჯარს გზავნიან.

**სალონიკი.** ჩრდილოეთ ალბანიაში არეულობა ძლიერდება. პრიშტანის ოლქის ალბანელებს უერთდებიან მიტროვიცის, ვუჩიტრინის, გილიანის და პრეშევოს ოლქების ალბანელები. დანამდვილებით არ არის გამორკვეული, მოძრაობა არის თუ არა უსკიუბის და კოიანოვის ოლქებსა, დიაკოვსა და პრიზრენში. იტყობინებიან მხოლოდ, რომ ბევრი ალბანელი დააპატიმრესო. იპეკში მშვიდობიანობაა. ქალაქს იცავს ჯარის სამი ბატალიონი. ქალაქში მიმავალი გზები ალბანელების ხელშია. ალბანელებს განზრახვა აქვთ, დაიჭირონ შუპლიკამენი, შეაჩერონ რკინის გზაზედ მატარებლების მიმოსვლა და ამით ხელი შეუშალონ ჯარის ჩქარა გადმოყვანის საქმეს. ამბობენ, მოძრაობის სათავეში ცნობილი ღესა ბოლეტინიცი სდგასო. უსკიუბში ყოველ დღე ჯარი მოდის და შემდეგ ალბანიის შიდა ადგილებში იგზავნება.

**სტამბოლი.** (დაგვიანებულია) დეპუტატთა პალატამ განიხილა შეკითხვა ხუთი სამხედრო გემის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედების შესახებ. ბევრმა ორატორმა დაიცვა შეკითხვა. ოპოზიციის წევრებმა მუფიდმა და ლიუტფიმ და მთავრობის მომხრემ, რიზა-ტევფიკმა სასტიკად გაჰკიცხეს სამხედრო გემების მოქმედება და სთქვეს, კონსტიტუციის და თავისუფლების დაცვა მოითხოვს, რომ სამხედრო გემების ასეთი მოქმედება აილაგმოსო. დიდმა ვეზირმა განაცხადა, მთავრობა მოვალეა კონსტიტუცია უზრუნველჰყოს რეაქციონერების განზრახვებისაგან და მოითხოვა ნდობის

გამოცხადება. დეპუტატთა პალატა დაკმაყოფილდა დიდი-ვეზირის განმარტებით და მთავრობას ნდობა გამოუცხადა. ამის შემდეგ პალატა შეუდგა იმ შეკითხვის განხილვას, რომელიც ალბანიაში მომხდარ ამბებს შეეხება. ალბანელმა დეპუტატებმა განაცხადეს, ალბანელთა მოძრაობა ადგილობრივ მთავრობის ბოროტმოქმედებამ და უკანონოდ მოქმედებამ გამოიწვიაო. ალბანელმა დეპუტატებმა პალატაში წინადადება შეიტანეს, საქმის გამოსარკვევად ალბანიაში საპარლამენტო კომისია გავგზავნოთო. ოპოზიციის ლიდერმა ცნობილმა ალბანელმა ალი-კემალმა სთქვა, მთავრობა ერთნაირ პოლიტიკას არ აწარმოებს და ბოლგარებს და სერბებს ეკურკურებაო. შინაგან საქმეთა მინისტრმა ალი-კემალის სიტყვის დროს რამდენჯერმე პროტესტი განაცხადა. ალბანელმა მუფიდმა ალბანიაში გაგზავნილ ექსპედიციის უფროსს გარეული ახეცი უწოდა, რამაც დიდი აურ-ზაური გამოიწვია. შინაგან საქმეთა და სამხედრო მინისტრებმა პროტესტი განაცხადეს და მოითხოვეს, რომ ორატორს სიტყვის გაგრძელების უფლება არ მისცემოდა. მუფიდის სიტყვის დროს დეპუტატების უმრავლესობამ ყვირილი მორთო, ოპოზიცია ტაშით მიეგება. თავმჯდომარემ ახმედ-რიზამ წესიერების აღდგენა ვერ შესძლო. მუფიდი კათედრიდან ხმა მაღლა ყვიროდა და შეურაცხყოფას აყენებდა ექსპედიციის უფროსს შევკეთ-ტურგუდ-ფაშას. დეპუტატებმა ტრიბუნასთან მოიყარეს თავი. მუფიდის მომხრეებმა ორატორი ტრიბუნიდან ჩამოიყვანეს. თავმჯდომარემ ძლივს ძლივობით აღადგინა წესიერება. სიტყვა მიეცა დიდ ვეზირს, ხაკკი-ფაშას.

**სტამბოლი**. დეპუტატთა პალატა. დიდმა ვეზირმა სთქვა: ალბანეთი ოსმალეთის იმპერიის საუკეთესო ნაწილია, მაგრამ მთავრობა საკონსტიტუციო იმპერიის არც ერთ ნაწილს უფლებას არ მისცემს მთავრობის წინააღმდეგ ამხედრდეს და კანონები არ შეასრულოს. ალბანიაში დიდ-ძალი ჯარი გაიგზავნა და ეს იმიტომ, რომ გავლენა ვიქონიოთ ალბანელებზედ და ამით დავამშვიდოთ. თავდაპირველად პრიშტინში 250 სალდათი იყო, რასაც ის მოჰყვა, რომ მეამბოხეებმა ორი ზარბაზანი ჩაიგდეს ხელში. ესეთი ამბავი აღარ გამეორდება. პრიშტანიდან იტყობინებიან, ალბანელებმა ჯართან მოლაპარაკება გამართეს და მზად არიან მორჩილება გამოაცხადონო. მთავრობა მოვალეა მიიღოს ყოველ-ნაირი ზომები, რომ მოსაზღვრე პროვინციაში მშვიდობიანობა და წეს-რიგი იყოს და ჩვენც შევასრულებთ ამ მოვალეობასაო. (ხანგრძლივი ტაში). დეპუტატთა პალატამ კენჭის უყრელად საკმაოდ დაინახა დიდი ვეზირის განმარტება.

### ს პ ა რ ს ე თ ი

**ჯულფა**. ჯულფა-თავრიზს შორის ავტომობილების მიმოსვლა დაიწყო.

**თავრიზი**. არდებილში ჯარი გაიგზავნა. ჯარში შედის: 500 ბახტიარი, სპარსეთის ყაზახთა ერთი ასეული და ეფრემს 170 ფიდაი. ჯარს უფროსობენ ეფრემა და სერდარ-ბოგადური. ჯარი შახსევანების დასამშვიდებლად გაიგზავნა.

### რ უ ს ე თ ი

**ხარკოვი**. ოლქის სასამართლო შეუდგა 27 კაცის საქმის გარჩევას. ბრალდება ყალბი ფულის გაკეთება და გავრცელება. მოწმეებად გამოწვეულია 200 კაცი.

**მოსკოვი**. დააპატიმრეს გლეხი ლიაგუშკინი, 21 წლისა. ბრალდება ინგლისის (საღებავი) ქარხნის სამი მეარტელეს სასიკვდილოდ და ერთის მძიმედ დაჭრა. ლიაგუშკინს ფულის გატაცება სდომებია, მაგრამ ვერ მოუხერხებია.

**ბაქო**. ბაქოს ნავთის ამხანაგობის სამრეწველოს ადგილში ნავთმა ამოხეთქა. დღე-ღამეში 15,000 ფუთი ნავთი ამოდის.

**პეტერბურგი**. მთავრობამ სახელმწიფო სათათბიროში შეიტანა საიდუმლო კანონ-პროექტი, რომლითაც ათი წლის განმავლობაში სახელმწიფოს დასაცველად საჭირო ფული უნდა გადაიდოს. კანონ-პროექტი კომისიას გადაეცა.

## ყ ო რ ა ნ ი

ვეძებდი ედემს, სულის სამოთხეს
და სვე-ბედი კი არყოფნის კუთხეს
ოცნების ფრთებით მიმაქანებდა.
ვსტიროდი... ვგრძნობდი თაყვანის მცემლებს,
ვსტიროდი და ჩემს უმანკო ცრემლებს
მხოლოდ ყორანი დაჰხარხარებდა!

* * *

ერთხელ ცრემლები ავასხი მძივად,
ჩავაწან ჩანგურს სიმებად, მწკრივად...
და როს დავმღერე ჰანგს ცრემლ-ჩაქსოვილს,—
ყორანი შეკრთა... მწარედ ჰკიოდა,
სტიროდა,—ცრემლი არა სდიოდა...
მე კი... ახ! მე კი, ვაი ჩემს სიცილს!

ი. გრიშაშვილი.

**პოლტავა**. საქალაქო თეატრში გაიმართა კონცერტი უკრაინელ პოეტ შევჩენკოს სახსოვრად. კონცერტის შემოსავალი გადასცეს შევჩენკოს ძეგლის ფონდს.

**კიევი**. მდინარე დნეპრი ადიდდა და გადმოვიდა ნაპირებიდან. წყალმა წალეკა დუქნები სლობოდკის უბანში. ამ უბნიდან საჩქაროდ გადააქვთ ქონება. ტრუხანოვის კუნძულის ნაწილიც წალეკილია.

**პეტერბურგი**. ცარსკოე სელოს სასახლეში ხელმწიფე-იმპერატორმა მიიღო იაპონელი პრინცი და პრინცესა ფუშიმი.

ოსმალეთის დიდ ვეზირად ნამყოფი ხილმი-ფაშა წარუდგა ხელმწიფე-იმპერატორს.

**პეტერბურგი**. გამოქვეყნებულია ცნობა იმის შესახებ, რომ ხერსონის გუბერნიაში გაუქმდა გაძლიერებულ დაცვის წესები და რომ ხერსონის გუბერნატორს განსაკუთრებული უფლება მიენიჭა ამა წლის 4 აპრილამდე სავალდებულო დადგენილება გამოსცეს ხოლმე საზოგადო წესიერების და სახელმწიფო უშიშროების დაცვის შესახებ.

**დღევანდელ ნომერთან ერთად რიგდება კვირის (28 მარტის) სურათებიანი დამატება**

## ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **ყიზლიარის ხაზინის გაცარცვა**. როგორც ვწერდით, 27 მარტს 30 შეიარაღებულმა კაცმა გასცარცვეს ყიზლიარის ხაზინა. ნაშუადღევს ყიზლიარის ხაზინასთან მისულა 30 ცხენოსანი, მნახველების სიტყვით, ყაზახთა ჯარის ფორმაში გამოწყობილი. ხაზინის დამცველი 4 სალდათი ამ დროს სადილობდა თურმე. ბოროტგანზრახველების ერთი ნაწილი შეცვივნულა ხაზინაში და სროლა დაუწყია. სალდათები წამოცვივნულან და ბოროტგანზრახველებისთვის სროლითვე უპასუხნიათ. ბოროტგანზრახველებს მოუკლავთ ორი სალდათი და დაუჭრიათ ერთი. ამას გარდა, მოუკლავთ ხაზინადარი იუსტინე გრიგორის ძე კოპიტკო, ბუღალტერი ვიქტორ დავითის ძე ტუპიცკი, მოხელე გრიაზევი, ორი მოსამსახურე და სამიც გარეშე კაცი. დაუჭრიათ მოხელე ბალიავინი და ერთი გარეშე. ყიზლიარის გორნიზონის უფროსს სროლის გაგონებაზე ხაზინისკენ გაუგზავნია სალდათები ორი აფიცრის უფროსობით. ბოროტგავზრახველებს ამ დროს უკვე საქმე გაეთავებინათ და მიდიოდნენ. ჯარს სროლა დაუწყია და ბოროტგანზრახველებისთვის დაუჭრია 3 ცხენი. ჯარმა უცნობებს ავარიანსკამდე სდია და აქ შეჩერდა თურმე. ბოროტგანზრახველებს ყაზახებით დასდევნებია ბოქაული. ქუჩებში სროლის დროს დაჭრილა 4, მომკვდარა 3 გარეშე კაცი. ჯერ არ არის გამორკვეული თუ რამდენი წაიღეს ბოროტგანზრახველებმა. თავდასხმელებმა ხაზინაში დასტოვეს წერილი, ცნობილ ყაჩაღის, სელიმ-ხანის მეთაურობით დავეცით ხაზინასაო.

✦ **ქალაქის საბჭო**. 29 მარტს ტფ. ქალაქის საბჭოს სხდომა დაიწყო ხმ. ალ. თ. ფრიდონოვის წერილის კითხვით. ფრიდონოვს საბჭომ მიულოცა 35 წლის განმავლობაში ხმოსნად ყოფნა და მუშაობა საბჭოში. ფრიდონოვმა თავის წერილში მადლობა გადაუხადა ხმოსნებს მილოცვისათვის. მიმდინარე საქმეებიდან საბჭომ ამ საღამოს 6—7 საქმე განიხილა. როგორც ვიცით, ქალაქის თვითმართველობამ განიზრახა დასაფასებელ გადასახადის დადება რკინის გზის სამმართველოს სახლებზე ტფილისში. გამგეობამ მოხსენება წარუდგინა საბჭოს. საბჭომ დაადგინა, აღძრულ იქმნას სათანადო მთავრობის წინაშე შუამდგომლობა ამის შესახებ. საბჭომ მიიღო აგრეთვე გამგეობის წინადადება, მოწოდებულ იქმნან მსურველნი ტფილისში გაზის ქარხნის ასაშენებლად. პუშკინის სახელობის ქალაქის მეორე სკოლის შენობის ასაგებად გადადებული იყო 7800 მან. რადგან ეს ფული საკმაო არ არის, გამგეობამ საბჭოს სთხოვა კიდევ 1500 მან. საბჭომ გადასდო ეს ფული. 11 მდე ღარიბ მცხოვრებს, გამგეობის მოხსენების თანახმად, საბჭომ აპატია დასაფასებელ გადასახადის დარჩენილი ფული, სულ 1118 მან. გამგეობის წევრმა თავ. ნ. ე. არგუთინსკიმ საბჭოს მოახსენა დიდუბის საჯარო სამკითხველო ბიბლიოთეკის გამგეთა თხოვნა ყოველ წლიურ შემწეობის შესახებ. საბჭომ დიდუბის ბიბლიოთეკისთვის ამ ხანად გადასდო 100 მან. ხანგრძლივი კამათი გამოიწვია გამგეობის მოხსენებამ ეტლებზე განსაზღვრულ ნიხრის დაწესების შესახებ. ქალაქის შუაგულში ერთი მანძილის მაქსიმუმ ფასად 50 კაპ. იყო აქამდე დანიშნული. მეეტლეებმა ეს თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს, მაქსიმუმი ნიხრისა ნორმალურ ნიხრად ჩასთვალეს და კაცს რომ 100 საჟენზე ეტლით მიეჩქარებოდეს, მეეტლენი 50 კაპიკს ართმევენ. ესეთმა გარემოებამ გამოიწვია გამგეობის მოხსენება ნიხრის დაწესების შესახებ. გამგეობის მოხსენებით მანძილზე ნიხრის მაქსიმუმად უნდა დაინიშნოს 40 კაპ., ერთი საათით 80 კაპ. ხმ. მინეევი, რუდაკოვი, ხომასურიძე და ზოგი სხვებიც იცავდნენ არსებულ ნიხრს. ხმოსანთა უმრავლესობა კი წინააღმდეგი იყო და, [illegible] გამგეობის დადგენილება, შეამცირა იგი. საბჭოს მიერ ახლად დადგენილი ნიხრი მიმოსვლის ძალაში შევა, როცა გუბერნატორი დაამტკიცებს.

✦ **საქმე ხარაზოვის გატაცების შესახებ**. მკითხველებს ეხსომებათ მოსწავლის ხარაზოვის გატაცება. ეს ამბავი მოხდა შარშან, 26 ივლისს. ამ საქმის გარჩევა 26 მარტს დაიწყო კავ. სამხედრო სასამართლოში. სამართალში მიცემულია იაკობ ტატიშვილი, დიმიტრი და პეტრე კორკაძე, შალვა შერაშენიძე, ევგენი რევინი, ეფრემ გაბუჩია, ვანო ბელქაძე, გრიგოლ ლავრენტიევი, სამსონ ბერიძე, ეფრემ კუჩუკი, სერგეი თაყაშვილი და კნეინა ნინო გ. მუხრანსკისა. ეს უკანასკნელი, როგორც ოქმი გადმოგვცემს, მოლაპარაკების დროს მაშვალად ყოფილა.

✦ **საჩუქრები**. რკინის გზების სამმართველოს დადგენილებით, ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოსამსახურეებს სააღდგომოდ საჩუქრად დაურიგდებათ 170.000 მანეთი. აქედან 130.000 მანეთი მიეცემათ დაბალ მოსამსახურეებს (შარშან მიეცათ 110.000 მანეთი) და 34.000 მან. უფროს მოხელეებს.

✦ **სამართალში მიცემა**. ნამესტნიკის თანაშემწის განკარგულებით, სამართალში მისცეს აწყურის და ქალაქ ახალციხის ბოქაულებად ნამყოფები უზნაძე და პავლე სოსიე. ბრალდებათ სამსახურის დროს ბოროტ-მოქმედების ჩადენა.

✦ **საუნივერსიტეტო კომიტეტი**. დღეს, 31 მარტს, საღამოსთვის დანიშნულია სხდომა საუნივერსიტეტო კომიტეტისა. სხდომას დაესწრება სამოსწავლო ოლქის მზურნველი გ-ნი რუდოლფი.

✦ **მტკვარი**. ორი დღეა რაც მტკვარმა იმატა. მთებში დიდი წვიმები ყოფილა.

✦ **ადგილის შეძენა**. გუბერნატორმა ამას წინად არ დაამტკიცა ტფ. ქალაქის საბჭოს დადგენილება

## ბედის ვარსკვლავი

I

ზამთრის ღამე იყო, ცივი, სუსხიანი, ბნელი. გაყინული ნიავი სისინებდა ბოროტად და გაჰქონდა სახლიდან უკანასკნელი სითბო. ბედიანის ბინა თუ დახშული იყო მისთვის და ჩაბექდილი, უბედოს სადგომში ხალვათად გრძნობდა თავს და დანავარდობდა თავისუფლად. აქ ყველა მხრიდან გზა ხსნილი ჰქონდა: კარ-ფანჯარა, ბუხარი, ჭერი თუ იატაკი განზე გამდგარიყო იმის წინ, პირი ექმნა და გზა მიეცა სასტიკისათვის.

მიყრუებულიყო ქალაქი ჩაშავბნელებული, ხმას აღარ იღებდა სულდგმული; ძაღლიც კი აღარ იყეფებოდა ბუნაგში ჩათბუნებული. მხოლოდ წყვდიადიდან ხან და ხან ფრთათა შრიალი გამოისმოდა, ძლიერი და ხარხარი რამ გადურბენდა თავს ჩამკვდარ ქალაქს: მავნე ლასტრიალებდა თავს კაცთა ჩაქოლილ ბინას და კისკისებდა მათ დაბეჩავების და შეწუხების ხილვაზე. ადამიანთა შევიწროვება ახარხარებდა ბოროტს, გულიანად ახითხითებდა.

ეძინა მთელ ქალაქს, ეძინა დიდსა თუ პატარას, მდიდარსა თუ ღარიბს: ამ მოსაწყენ ქალაქის ერთგვარი უგემური ცხოვრება ყოველ ჟამს ძალად იწვევდა მიძინებულ-მიბურდოებულ მცხოვრებს და მეტადრე ამისთანა ბნელს, ცივს, სასტიკ ზამთრის ღამეში.

ჯერ არ ეძინა მხოლოდ დაბალ კოპრუას პატარა ბიჭს, ბესოს მისჯდომოდა ის მაგიდას, დაეყრდნო თავი ხელებზედ და ჩასცქეროდა წიგნს. ტყავის ქუდი ეხურა, ბეწვიანი, ტყავივე ჰქონდა ზედ წამოსხმული. ციოდა სახლში და ბავშვს კარგად იფარავდა ეს ქურქი. ფეხი კი მაინც ეყინებოდა, რადგან მიწური იატაკი ნესტოს აძლევდა; უბერავდა კიდეც საიდანღაც. თავდავიწყებით კითხულობდა პატარა, გატაცებით. აღარ ესმოდა, სად იყო ან რა ხდებოდა იმის გარემო. აზრით აზღევნებოდა საკითხს და იმის გონების თვალ წინ ნათლად იხატებოდა ყოველივე მოთხრობილი. ჰუჭყიანი პატარა მაგიდა ბავშვის წინ მარჯვედ მოწყობილ სცენად გარდაქმნილიყო და ზედ საკვირველის სიცხადით იფურჩქნებოდა ცხოვრებისა და ბუნების სურათები ხელოვნურად ჩახატულ საკითხში. ბავშვის აღფრთოვანებული ოცნება თითონაც დასძენდა სურათებს, ჰქარგავდა მათ ფერადით, აშუქებდა მიბნელებულ კუთხეებს, აყვავებდა ყოველსავე ხრახნილს, ამკობდა ოქროს ვარაყით და გამოუთქმელ სიამესა გრძნობდა ამ გაყინულ ოთახში, როგორც რამ ყოველივე კეთილით და კეთილ-სანახაობით სავსე ზღაპრულ დარბაზში. ამ წამს მთელი არსება ბავშვისა მოწყვეტილი იყო სინამდვილის დუხჭირობას და აღმაფრენას მისცემოდა განსაცხრომელს. აღარაფერი არ აკავშირებდა ბავშვს ნამდვილ ცხოვრებასთან, გარდა გახრწნილ ტყავების საზარელ სიმყრალისა, რომელიც შეერთებულიყო თრიმლის მძიმე სუნთან. ეს საზიზღარი სუნი ძლიერად ასდიოდა კუთხეში მიყრილ ტყავს და სტანჯავდა პატარას. ვერაფერი ოცნება ვერა ჰფანტავდა ამ მძორის სუნს, რომელიც თითქო დაბუდებულიყო თვით ბავშვის საყნოსელში. ეს სუნი თანა სდევდა ბესოს ყველგან და ყოველთვის, ერთს წუთს არ აძლევდა მოსვენებას, ყოველსავე სიხარულს უწამლავდა. სხვები კი რომ შესჩვეოდნენ ამ სუნს მის სახლში და ველარც კი გრძნობდნენ მას, ბესო არ იქმნა, ვერ შეექვსა და ვერ შეურიგდა. ეხლაც მხოლოდ ეს მძლავრი სუნი აკავშირებდა მას გარემო ცხოვრებასთან.

— მაგიდაზე ეწყო სუფთა რვეულები, მიძველებული სახელმძღვანელოები, საწერ-კალამი, შიმშა, ფანქარი. ბავშვს უკვე მოემზადებინა გაკვეთილები და ეხლა საკითხ წიგნს ჩასცივებოდა. მამალმა ერთი პირი კიდეც იყივლა, ბავშვი კი ისევ კითხულობდა. მისი ძმა ვანო და დედმამა ტახტზე იწვნენ მოგლეჯილ საბნებ ქვეშ მოკრუნჩხულები. ბალღის დედა გაიჩმუჩნა და ლამპრის შუქმა რომ შეანათა, თვალები გაახილა და წამოჯდა.

— ისევე გღვიძავ, ბიჭო?! რაზედა ჰბუგავ მა ნავთს? შუაღამე გადასულა და შენ კი ისევ წიგნს ჩასჩიჩინებ. რით ვერ დაისწავლე გაკვეთილები?

— გაკვეთილები ვიცი, დედილო: წიგნსა ვკითხულობ.

— შენ და შენი წიგნი, ილაჯი წაიღე! გააქრე ეხლავ ლამპარი და დაწექ!

ბავშვმა მოსწყვიტა წიგნს თვალი, ჩააქრო ლამპარი და ჩაწვა ლოგინში ძმის გვერდით. მაშინვე კი არ დასძინებია პატარას: ისევ წაკითხულს მისდევდა ფიქრით და აღფრთოვანებული გონება ათას სანახავს უსახავდა.

2.

დაბალი კოპრუა ქალაქის განაპირასა სცხოვრობდა; იქ საკუთარი ეზო ჰქონდა და ოთახი. დუქანიც ახლო ჰქონდა ნაქირავებელი, ნაკადის პირას, ხევში. იმის ხელობისათვის საჭირო იყო მუდმივ მომდინარი წყალი და ამისთვის თავის ეზოში ვერ გაემართა სახელოსნო. უფროსი შვილი მოსწრებული ჰყვანდა, დუქანში მუშაობდა, მხარში ამოსდგომოდა მამას. დაბალის ცოლი სახლ-კარს უვლიდა, მატყლს ართავდა წინდა პაჭიჭისათვის, ჰგრეხდა აპეურებს თხის ბეწვიდან: ტყავებს ხშირად მოსდევდა მატყლი თუ ბალანი და ამ მასალის გამოყენება ხელსაყრელი იყო ოჯახისათვის. ჰყიდდა წინდა-პაჭიჭს, აპეურებს და სახლს ეშველებოდა, თორემ მარტო ქმრის ხელობას რომ დანდობოდა, შიმშილით ჩაიხოცებოდნენ. აპეურების გრეხაში ქმარ-შვილი ჰშველოდა მოცლილ დროს.

ძნელი ხელობა ეჭირა კოპრუას, მხოლოდ ყელგადაგდებულ კაცს შეეძლო ამ ხელობისათვის შეებედნა: მუდმივ ასუნებულ ტყავებთანა ჰქონდა საქმე, თრიმლთან თუ ათასნაირ საღებავთან. დიდი ჯაფა უნდოდა ყოველგვარ ტყავის გამოყვანას. ბარძაყებამდის დაკარწახებული, იდლიებამდის დაკაპიწებული ზელავდა ტყავს ფეხით თუ ხელით და აბრუნებდა, ზამთარში ხომ სწორედ სასტიკი იყო ეს ხელობა და საშიში: გაყინულ წყალში ტყავების ფეხშიშველა ზელვა დილიდან საღამომდის აუტანელი ტანჯვაა მშრომელისთვის. მჴვალი თუ სხვა ამგვარი ავადმყოფობა მუდმივ კარს უდგა ამისთანა მუშაკს. ერთად-ერთი ამათი ნუგეში და გამამხნევებელი საშუალება არის არაყი და ღვინო: სასმელი ახალისებს მათ, უხშობს თანაც გრძნობას და მუშაკი ველარ ამჩნევს სამუშაოს სიძნელეს, სიცივის სისასტიკეს და ტყავების თუ მათ გამოსაყვან-დასაფერად საჭირო წამლების სუნს.

ძნელი ხელობა იყო დაბლობა კოპრუასთვის და თანაც უმადური: იმდენს ძლივსა რჩებოდა, რომ ლუკმა პური მიეწოდებინა თავის ოჯახისთვის. ეს იყო მიზეზი, რომ უფროს შვილს ვერაფერი სწავლა ვერ მიაღებინა, მხოლოდ თავისი ხელობა ასწავლა და უბრალო მუშად გამოიყვანა. თანხა რამ რომ ჰქონოდა, არაფერი უშავდა, ფულსაც მოიგებდა, რადგან მაშინ შორს წავიდოდა, დაუმუშავებელ მასალას პირიანად იპოვნიდა და ეს ძალიან სარფა იქნებოდა მისთვის. ეხლა კი იძულებული იყო იქვე ახლო ეყიდნა ტყავები ყასპისაგან და ისიც ნისიათ, დამუშავებულ საქონლის გაყიდვამდე. აქ კი მოგებას ველარა ჰხედავდა: ტყავებს მამასისხლად აფასებდნენ, შევაჭრება და ჩინჩი კი არ შეიძლებოდა, რადგან ნისიად წამლებს ენა მოკლე აქვს ყოველთვის. ეს კი იყო, რომ თუ ახალ გატყავებულს მოასწრობდა ძროხას თუ კამეჩს, იმ დღეს შეეძლო წვნიანი ჰქონოდა სადილად: საქონლის კუდს არ ატყავებენ, კუდი გაუფცქვნელი მისდევს ტყავს. აი, კუდებს დაატყავებდა კოპრუა და რიკებს უგზავნიდა დისახლისს. დედა-კაცი გაახაჩხაჩებდა წყალში და შემოსდგამდა ცეცხლზე. კარგი წვენი იცის მსუქანი, ხორცსაც არაუშავს რა: საკნატუნებელია.

ესე ჯაფაობდა ოჯახი დღე და ღამ, სცხოვრობდა თავის შრომით და ოფლით არავის ხელში შემაცქერული არ იყო, არც ვისთვისმე მეტი ბარგი. კაცი შესჩვეოდა შრომას და დაჰმორჩილებოდა თავის ბედს, შრომის გარეშე ველარასა ხედავდა, აღარც არას ელტოდა; არც-ღა ესმოდა რამე თავის ხელობის გარდა. ხალხში თუ სტუმრობაში პირუტყვივით იყო და ილალებოდა. უქმ დღეს, როცა დუქანი დაკეტილი ჰქონდა, არ იცოდა, რა ექმნა თავის თავისთვის და როგორ გაეტარებინა დრო — თავისუფლად ყოფნა ეჩოთირებოდა.

დაბალის ცოლი არა ჰგავდა ქმარს: ყოჩაღი დედა-კაცი იყო, მებრძოლი. ცხოვრების დუხჭირობას და მარად შრომას ვერ დაემორჩილებინა ის, ვერც დაებეჩავებინა. არა ტყდებოდა მედგარი, იბრძოდა მუდამ, მოხრას არ აპირობდა მძიმე ტვირთის ქვეშ. ოჯახის ნამდვილი ბატონ-პატრონი დიასახლისი იყო, ხოლო კაცები ყველაფერში მისი კითხულნი იყვნენ და მისი სურვილის აღმასრულებელნი. ძალიან ეხათრებოდა ამ დედა-კაცისა ქმარ-შვილს, კიდეც ეშინოდა მისი. მეზობლებიც მოკრძალებულნი იყვნენ მართასთან, რადგან იცოდნენ, რომ ის არას დაუთმობდა მათ, არც არავის დაეჩაგვრინებოდა. არ კი ეჯავრებოდათ მართა, პატივსაც კი სცემდნენ, რადგან ახსოვდათ, რომ გაჭირვებაში ისევ დაბალიანთ მართა იყო მათი ქომაგი და ხელის გამმართველი. დედა-კაცი შინ ტუტყიანი დადიოდა, ჩაქ შეხეული, ქუსლ მოგლეჯილ ფოსტლებით, მაგრამ კარზე გასასვლელად კი ერთი ხელი სუფთა ტანისამოსი ჰქონდა ყოველგვარ მორთულობით, თათმანებიც კი ელაგა ჯერ ისევ თითებ წაუცვეთელი. როცა მოირთვებოდა და გავიდოდა ლხინში თუ ჭირში, ვერავინ იტყოდა, რომ საწყალ დაბალის ცოლი იყო და არა შეძლებულ მოქალაქის მეუღლე.

ხელმოკლეობამ ყაირათს შეაჩვია დედა-კაცი. იმის სახლში არაფერი არ გაფუჭდებოდა, რაც უნდა უბრალო რამ ყოფილიყო და გამოუსადეგარი. ყველაფერი თავის ადგილს პოულობდა, ყველაფერი თავის შესაფერად გამოდგებოდა. იმის სახლში ცუდად ჯდომაც ყოვლად შეუძლებელი იყო და წარმოუდგენელი: არც თითონ დააყენებდა ხელს, არც სხვას მისცემდა ნებას

ავლაბარში როლოვის ადგილის შესაძენად (ქალაქის საავადმყოფოს გასაფართოებლად) 12,000 მან. გადაღების შესახებ. გუბერნატორის აზრით, ქალაქი მეტად ფულს აძლევს ამ ადგილში. გუშინ გამგეობამ აცნობა გუბერნატორს, რომ ქალაქისათვის როლოვის ადგილი ფრიად საჭიროა და რადგან როლოვი დიდი ხნის მოლაპარაკების შემდეგ 12,000 მან. ნაკლებ არ დასთანხმდა, გამგეობა სთხოვს გუბერნატორს, რაც შეიძლება მალე დაამტკიცოს საბჭოს დადგენილება, რადგან შემდეგ შეიძლება მეტის გადახდაც მოგვიხდეს.

◆ **მამულის გაყიდვა.** როგორც გვატყობინებენ, თავ. ზაალ ბარათაშვილი ჰყიდის დიდი დურინუკის მამულს, 400 დესეტინა სახნავ-სათესს ადგილს. ყიდულობენ სომხები სავლეხო ბანკის საშუალებით. მამული დაგირავებულია ქუთაისის ბანკში.

◆ **შეტაკება გორში.** როგორც გორიდან გვატყობინებენ, 29 მარტს ღამე პოლიციას და ყაჩაღებს შეტაკება მოსვლიათ. ადგილობრივი ბოქაული პოლიციის მოხელეებთან ერთად ქუჩაში გამოსულა, სადაც მოსვლიათ შეტაკება უცნობებთან. სროლის დროს პოლიციელებს მოუკლავთ ერთი და დაუჭრიათ ორი კაცი. მეორე დღეს პოლიცია ფეხზე დამდგარა და შესდგომია უცნობების ძებნას. უნახავთ გზა და გზა დაჭრილი კაცის სისხლი. კვალს პოლიციელები მიუყვანია ტყეში. გუბერნატორმა ეს ამბავი აცნობა პოლიცმეისტერს და დაავალა, ყაჩაღების მოსაძებნად გორში გაგზავნოს დაგეშილი ძაღლები. გაგზავნოს დიანა და ლანზე.

◆ **გვათუას საქმე.** 26 მარტს სამოსამართლო პალატამ გაარჩია მეათე საპოლიციო ნაწილის უბნისზედამხედველის გვათუას საქმე. ჰბრალდებოდა სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის კარლო ჩხეიძის ცენზის შესახებ ყალბი ცნობების შედგენა, რასაც ჩხეიძის დეპუტატად არჩევა მოჰყვა. პირველად პალატამ გაამართლა გვათუა, მაგრამ პროკურორმა განაჩენი სენატში განასაჩივრა. სენატმა პალატის საქმე ხელმეორედ განსახილველად დაუნიშნა. პალატამ დამნაშავედ იცნო გვათუა და იმის ნამსახურს სამი თვე დააკლო.

◆ სანიტარო მზრუნველმა მერვე უბნისამ გ. თოიძემ, ფერშლის ღოზპატის თანდასწრებით, 27 მარტს აღმოაჩინა თავის მოედანზე მეთევზე არუთინოვთან 4 ფუთამდე ხრამული, ხოლო ბაღდაპრის ქვეით ხიდის ყურთან მაშადი ტონიევის საყაჩრეში 2-3 ფუთი წამხდარი ბრწეული. თევზი და ბრწეული მტკვარში გადააყრევინეს.

◆ 29 მარტს ტფილისში შემდეგი ამბები მოხდა. მესაათის იაკობ შმულევიჩის ცოლს მლესავისაგან უყიდნია ბეჭედი, რომელსაც 56 პრობი ჰქონია. „ოქროს" ბეჭედი აღმოჩნდა უბრალო სპილენძისა. ყალბი ბეჭედის გამყიდველი, გუმბრის მცხოვრები არშაკ აკოფოვი დააპატიმრეს. აკოფოვმა განაცხადა, ბეჭედი მომყიდეს რუსის ქუჩაზე დუქანში ისაჯან კრიკოროვმა და სიმონ ოჰანეზოვმა. აღნიშნული პირნი გაჩხრიკეს და მათ აღმოაჩნდათ ერთი ამგვარივე ყალბი ბეჭედი. ისინი დააპატიმრეს. დააპატიმრეს აგრეთვე მანუკ მურად-ოღლი, რომელიც აგრეთვე ყალბ ბეჭდებით ვაჭრობდა. შემდეგი გამოძიებით პოლიციამ სახელოსნოც აღმოაჩინა ყალბი, „ოქროს" ბეჭდების დამზადებელი. ტფ. მცხოვრებს გიორგი მოხისელს პრაჩეშნი ქუჩაზე თავის ბინაზე გაუმართავს ეს სახელოსნო. გაუჩხრეკიათ მოხისელი და უნახავთ ყოველივე მოწყობილება ყალბად ბეჭდების დასამზადებლად. მოხისელი დააპატიმრეს და ყველანი პასუხის გებაში მისცეს. კიროჩნი და მიხეილის ქუჩების შესართავთან ქურდებმა განიზრახეს კირაკოზოვისა და ოგანოვის სამანუფაქტურო მაღაზიის გაცარცვა. ერთი ქურდთაგანი 29 მარტს ღამე მისულა მაღაზიის დაკეტამდე, იმის ქანდარაზე ასულა და იქ ქაღალდების ყუთში ჩამალულა. როცა მაღაზია დაუკეტიათ, ყუთში ჩამალულ ქურდს ამხანაგებიც აუყვანია. ეს გაუგია დარაჯს, ატეხილა ხმაურობა და ქურდები მიმალულან. 29 მარტს, საღამოს 6 საათზედ, კრასილნი ქუჩაზე პოლიციამ დააპატიმრა ტფ. მოქალაქე კონსტანტინე მალხაძე, რომელიც სგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლების შემდეგ ნება-დაურთველად დაბრუნებულა. დააპატიმრეს ამავე საღამოს ვლადიმერ დუნაევსკი და გიორგი რომაშჩუკი, რომელთაც საათი მოჰპარეს რიყეზე მცხოვრებს მაქსიმოვს. წილკნის ქუჩაზე სამსახურს გარეშემ პოლკოვნიკის მეუღლემ ელისაბედ მოშკინმა ძმრის ესენცია დალია. მოწამლული გრძნობა დაკარგული ქალი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს. 29 მარტს ჩხრეკის დროს პოლიციის სხვა და სხვა ნაწილში დააპატიმრეს სულ 177 უპასპორტო კაცი.

---

**შეცდომის გასწორება.** „დროების" გუშინდელ ახალ ამბებში „შემოწირულებანი" თ. დიმიტრი ერისთავის ჩოლოყაშვილის შემოწირულებათა სიაში. სწერია: „68 სიგელი", უნდა იყოს: „78 სიგელი".

## მოწერილი ამბები

**დიდი-ჯიხაიში** (იმერეთი). წინა კვირას მოხდა ადგილობრივ შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის წლიური კრება. კრება „პარტიებად" იყო ჩამოყალიბებული. ეგრედ წოდებული მუგირალები ხან აქ ამოყოფენ თავს, ხან იქ. გარს ერტყნენ თავიანთი დამქაშები. აშკარად სჩანდა, რომ გამგეობაზე დაცემას ლამობდნენ—ზოგი იმიტომ, რომ მათი ადგილი დაეჭირა და ზოგიც—ანგარიშს უწევდა 1908 წ. ქსენონის მოსამსახურეთა შორის მომხდარ ცნობილ ინციდენტს, შურს იძიებდა, რადგან ბანკის გამგეობა იმავე დროს ქსენონის გამგე კომიტეტიცაა. პირველად მოსთხოვეს პასუხი შარშან არჩეულ კომისიას, რომელსაც უნდა გამოეკვლია, თუ რამდენად სამართლიანი იყო გამგეობის მიერ გასავალში შეტანილი 119 მან. „სხვა და სხვა ხარჯების" სახით. დაიწყო ლაპარაკი კომისიის წევრმა (სამწუხაროდ, კომისიაში ისეთი პირები მოხვდნენ, რომელთაც გამგეობის ჩაწიხლვა უფრო აინტერესებდათ, ვიდრე სიმართლის გამორკვევა). სხვათა შორის სთქვა: „უპირულ მოვალეებისაგან ვექილების სასარგებლოდ" შემოსულა 23 თუმანი, გაცემულია 27 (უპირულებს აჯარიმებენ ძალით ამკრებავების—ვექილების სასარგებლოდ). აღმოხდა თუ არა კომისიის წევრს უკანასკნელი სიტყვები, წაავლო მას პირი ერთმა ლიდერმა და ასტეხა განგაში: „მაშ ამხანაგობას დაჰკარგვია ოთხი თუმანი!" ჩაუჯიბავთ, ჩაუჯიბავთ! დაიგრგვინეს იმის ირგვლივ. გამგეობამ განმარტა საქმე. მოსთხოვეს კომისიას გარკვეული პასუხი. ისევ იმ პირმა განაცხადა: დასკვნა თქვენ გამოიყვანეთო.—ჩვენ ვიზარალოთ, თუ გამგეობას გადახდეს ეს ფული, თავმჯდომარეს უყარეთ კენჭი! დაიძახა პირველმა მუგირალამ. აქ საქმეში ჩაერივნენ სხვებიც—„უპარტიონი"—და კომისიას და მუგირალას ამ საკითხზე კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ... შეიტანეს წინადადება, გადაყენებულ იქმნას მთელი გამგეობა. თავმჯდომარემაც არჩეინად კენჭი უყარა, უმრავლესობით საკითხი გავიდა და ეს იმ დროს, როდესაც გამგეობის მოქმედებაზე კრიტიც არ დაძრულა. სამართლიანობაც ასეთი უნდა! ამის შემდეგ განიხილეს შემოსავალ-გასავალი და უცვლელად დაამტკიცეს. მოგება აღმოჩნდა 4000 მან. აქედან ადგილობრივ სასწავლებელს შესწირეს 350 მ.

დაისვა საკითხი გამგეობის თავმჯდომარისათვის ჯამაგირის მომატების შესახებ (240 მ. ეძლევა) შესაფერი ახსნა განმარტებით, მაგრამ დატოვეს ისევ ძველი. გადავიდნენ ქსენონ-ავთიაქის საქმეებზე. გამოირკვა, რომ ორი წლის განმავლობაში შემოსავალს, ხარჯების გარდა, 2200 მან. მოგება დაუტოვებია. დაადგინეს: მოწვეულ იქმნას ბებია ქალი, გაკეთდეს საყინულე და შეკეთდეს ქსენონის შენობის მეორე ნახევარი (პირველი ნახ. ამ ზაფხულში გაკეთდა).

ჯერი მიდგა არჩევნებზე. შეიქმნა ისევ ჩოჩქოლი. კრებამ ერთხმად სთხოვა ძველ გამგეობის თავმჯდომარეს დარჩენილიყო, მაგრამ მან გადაჭრილი უარი განაცხადა. დაასახელეს კანდიდატები, სხვათა შორის, ალ. გაშაკიძეც, რომლის შესახებ კარგა ხანია ლაპარაკობდნენ, ემზადებაო, ის კი ყველას ეუბნებოდა, არ ვიყრი კენჭსაო. მისი მომხრენი ითხოვდნენ, მისთვის კენჭი ეყარათ. მან უარი განაცხადა, მარა მაინც ერ ეშვებოდნენ და ბოლოს დაითანხმეს.

ამ რიგად გადააყენეს ორი წევრი ერთი წლით ადრე ანგარიშების განხილვამდე, რაც (ანგარიში) შემდეგ უცვლელად მიიღეს. მიზეზი? შური იძია პატარა ჯგუფმა (მოხსენ. ინცინდ.) ღირსნი იყვნენ თუ არა ისინი ასე მოქცევისა? თუმცა კრება (დასწრო 800 წევრიდან 300-მდე, რაც წესდებით კანონიერია) ამ შემთხვევაში მათ უსამართლოთ მოექცა, მაგრამ მე მაინც ვიტყვი: არა თუ არიან, უოგელთვის იყვნენ და იქნებიან სამარის კარამდე. მხოლოდ ჩვენი უბედურება იმაშია, რომ ჩვენში გამეფებულია შენ-ჩემობა, პირადი ანგარიშები და უმეტეს შემთხვევაში საზოგადო საქმეების სათავეში ვათავსებთ ასეთ ვაჟბატონებს. თუ პირადი ანგარიშები არა, მე დარწმუნებული ვარ, ისინი დარჩებოდნენ არა თუ ერთ,—მრავალ წელსაც. მეტი სიფხიზლეა საჭირო, მეტი გონიერება. უკუ უნდა ვაგდოთ შენ-ჩემობა და ვეცადნეთ ღირსეული პირები ავირჩიოთ ჩვენს დაწესებულებებში აწი მაინც!

**მფრინავი კატა.**

---

**სოფ. ხაყარაული** (თიანეთის მაზრა). საყარაულო და იმის ახლო-მახლო სოფლები მომეტებულ ნაწილად საბატონო მამულში სცხოვრობენ. არიან შიგა და შიგ ისეთნიც, რომელთაც საკუთარი ნასყიდობა აქვთ, მაგრამ ძრიელ ცოტაა ასეთი. გლეხს მამული უნდა, უმამულოდ გლეხი ვერ გასძლებს და ვერ იცხოვრებს, როგორც თევზი უწყლოდ. აქ მრავალი მებატონე ავაჯრებს გლეხებს მამულს, და სწორე გითხრათ, რიგიან შეღავათიან პირობებშიც, მაგრამ გაღატაკებული გლეხი თავის ქერქში იწვება, „შეძლება არა გვაქვს და რით შევისყიდოთო. გლეხებს დარიგება უნდათ, როგორ და რა პირობით შეიძლება ბანკის შემწეობით მამულის შესყიდვა, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც შევნიშნე, გლეხები რადაც უნდობლად ექცევიან დამრიგებელ-ჩამგონებელს, რადაც დამფრთხალნი არიან. რაც უნდა კარგი ურჩიოთ, ჰგონია, მატყუებსო.

წელს აქეთ კარგი ზამთარი იყო და გაზაფხულიც კარგია ჯერ-ჯერობით. ჯეჯილებს მშვენიერი პირი უჩანს. ხალხის თქმით ამ დროს აქეთ ამისთანა ჯეჯილები იშვიათად უოფილა, აქეთ ეხლა ხვნა-თესვაა.

**ქართველი ოხებში.**

---

**გორი.** 26 მარტს გორში ტყავის ქარხნის პატრონთან ძმებთან თემურაზ და კარაპეტა თემურაზოვებთან მისულან ძმები კარაპეტა და ტიგრანა ბაგდასაროვები და მოუთხოვიათ ოცი თუმანი. წინაღმდეგ შემთხვევაში მოკვლით დამუქრებიან და თან მაუზერის რევოლვერი უჩვენებიათ. თემურაზოვებს შეუფიცნიათ და უთქვამთ, ეხლა ფული არა გვაქვსო და დაჰპირებიან, შემდეგში გიშოვნითო. 28 მარტს ორივე ძმები თემურაზოვები მისულან ხარაზის სახელოსნოში და ხარაზისთვის მოუთხოვნიათ 150 მანათი, რომელიც მას მართებია. ეს 11 საათზე შუადღისას უოფილა. უეცრად შევარდნილა ტიგრანა ბაგდასაროვი, მიუშვერია მაუზერი კარაპეტა თემურაზოვისთვის და უთქვამს, [illegible] ტიმრეს. ამავე დროს პოლიციაში მისულა სამი მეჩუსტე (ხარაზი) და განუცხადა, რომ ამ ორი დღის წინად ჩვენც წაგვართვეს ათ-ათი თუმანი თითოს მაგ მოკლულმა და მისმა ძმამ კარაპეტამაო და თან გვეუბნებოდა მოკლული ტიგრანა: „როგორც მოვკალი ილიკო მოშიაშვილი, ისე არც თქვენ დაგზოგავთ, თუ არ მოგვცემთ ფულსაო".

**გორელი.**

---

**ვაქირი** (ქიზიყი). მანტაყისტები გახშირდნენ. ამას წინად ანტონ ხელაშვილს წერილი მიუგდეს და მოსთხოვეს, 100 მ. გამოეტანა და ამოედო აგურ ქვეშ მეზობლის ეზოსკენ. ხელაშვილმა, რომელსაც ვალის მეტი არა გააჩნდა-რა და თანაც ქალს ათხოვებდა, უარი შეუთვალა წერილითვე და თან ყარაულობა დაუწყო. მანტაყისტები შევიდნენ იმის კარემოებაში (?) და ხუთს თუმანზე ჩამოვიდნენ. ხელაშვილმა ეს ამბავი მაზრის უფროსს აცნობა. მანტაყისტებმა ეს იწყინეს და 26 თებერვალს შებინდებისას, როცა ხელაშვილი გარედ გამოვიდა სანათით, თავის პაწია შვილიშვილით, საფანტით

გატეხილი თოფი ესროლეს. ბავშვს ბარძაყში ორგან საფანტი მოხვდა. ბოროტგანზრახული გაიქცა. ექიმმა ბავშვს ერთი საფანტი ამოაცალა, ხოლო მეორე ჯერ [illegible] ნად ჩაწვა. მარჯვენა ოვალი(?) [illegible] ბა. ამავე [illegible] შინა სატიაშვილს.

**აქაური.**

## ძველი ნაშთების განადგურება

(საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საყურადღებოდ)

გაზეთ „დროების" მე-65 ნომერში სამწუხარო ამბავია მოთხრობილი. ძველად-ძველ ქართულ სოფელ ალბულაღში, რომელიც მრავალჯერ არის აღნიშნული ქართველთა ცხოვრების მატიანეში და ბედის ჩარხის უკუღმა ტრიალისა გამო დღეს „ბელი კლიუჩ"-ად არის მონათლული, ადგილობრივ რუსის მღვდელს დაუნგრევია უძველესი ქართული ტაძარი და მასალა მოუხმარნია ახალ საყდრისათვის, რომელსაც აქ გადმოსახლებული რუსები აშენებენ. კორესპონდენტის სიტყვით, ეპისკოპოს გრიგოლის ტაძრის დანგრევაზე ნება არ დაურთავს, ეს საარქეოლოგიო საზოგადოების საქმეაო. მღვდელს საარქეოლოგიო საზოგადოების პასუხისთვის არ დაუცდია და დინამიტით დაუნგრევია ძველი საყურადღებო ნაშთი. მხოლოდ დანგრევის შემდეგ მიუწერია საარქეოლოგიო საზოგადოებას მღვდლისთვის, დანგრევა არ შეიძლება და თუ გსურთ, შეაკეთეთო.

მე მინახავს ეს ტაძარი და ვერ წარმომიდგენია, თუ ვინმე გაიმეტებდა და მოინდომებდა ამ მხცოვან ნაშთის განიავებას. ალბულაღის ტაძრის დანგრევა უტყუარ საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ თუ დღემდის უფლებებით აღჭურვილი პირები ანიავებდნენ წარსულის ნაშთებს, დღეს მთავრობის ნებადაურთველად ჰბედავენ ამისთანა საქმეს. ალბულაღის ტაძრის დანგრევა საბუთია იმისა, რომ ასეთივე ბედი მოელის იმ უთვალავ ნაშთებს, რომელნიც გაფანტულია ალბულაღის შორი-ახლო ტყეებში და მთებზე, განსაკუთრებით მდინარე ხრამის ორსავე ნაპირებზე და ჭმუნვა-საყვედურით გადასცქერიან ამ კუთხეს. მაგალითად, ალბულაღის გაღმა, ათიოდე ვერსის მანძილზე, თაიროვის ტყეში ჯერ კიდევ შენახულა უძველესი და დიდებული ფითარეთის მონასტერი, რომლის სიმკვიდრე, მხატვრობა, ქვის ჩუქურთმა და ძვირფასი მასალა გაოცებაში მოიყვანს მნახველს. მნახველნი კი დღეს მხოლოდ ბერძნის მწყემსები არიან, რომელთაც სხვა ვერა დააკლეს იმის მეტი, რომ თოფის სროლით ჯვარი მოსტეხეს. *) უეჭველია, რომ დღეს-ხვალ ამ ნაშთსაც ალბულაღის ტაძრის ბედი მოელის...

შეიძლება მართლაც საეპარქიო მთავრობის ნება-დაურთველად ჩაიდინა ხსენებულმა მღვდელმა ეს საქმე. მაგრამ რას აკეთებდა ადგილობრივი ბლაღოჩინი, ქართველი, მაშინ, როცა ალბულაღში ნაღმებს გრიალი გაჰქონდა და ძველი კედლები ძირსა სცვივოდა? თუ როგორც ქართველმა ხელის შეშლა ვერ გაუბედა, რატომ არ გააგებინა ეს საქმე თავის მთავრობას და ან პრესის საშუალებით საზოგადოებას?

საჭიროა, ყურადღება მიაქციოს ამ საქმეს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამაც. როგორც ეტყობა, საარქეოლოგიო საზოგადოება ნაკლებად ზრუნავს ასეთ საქმეებზე და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ მაინც უნდა გამოიღოს თავი. მან უნდა გამოარკვიოს ეს საქმე და თავს იდვას შუამდგომლობა, რომ ჰუჰყიანი ხელი არ ეკარებოდეს სიძველეთ. ამითი, რასაკვირველია, არც ალბულაღის ნაშთი აშენდება ხელმეორედ და ვერც გულმოდგინე მღვდელს დაუშლიან „ნაბედრენიკის" მიღებას, მაგრამ შეიძლება სხვა ნაშთები მაინც რამდენამე გადარჩეს უდროოდ დაღუპვას. სხვა პატრონი ივერიის სიძველეთ არა ჰყავს.

**ახელი.**

## თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** ორშაბათს, 29 მარტს, ქართულ თეატრში საინტერესო წარმოდგენა გაიმართა. წარმოადგინეს სუნდუკიანცის პიესა „ხათაბალა". თვით პიესა დღევანდელ ცხოვრებას აღარ შეეფერება, ეს მეტად აშკარა იყო მაყურებლებისათვის, მაგრამ დამსახურებულ ნიჭიერ მსახიობთა ხელოვნურმა თამაშმა საზოგადოების ყურადღება დაიპყრო. საფაროვ-აბა-

*) ფითარეთის მონასტრის აღწერილობა და საქმის ვითარება მღ. ი. შ—მემ განსაკუთრებულის მოხსენებით წარუდგინა დიმიტრი ეპისკოპოსს 1903 წ. და ინახება ეკზარხოსის კანცელარიაში. ავტ.

---

გულხელ-დაკრეფილი მჯდარიყო თუნდ ერთს წამს.

— რა ნაცარქექიასავით მისჯდომიხარ მა კერას? ადექი ხელი გასძარ, მიდექ-მოდექ!

— დედა-კაცო, ჯერ ხომ ეხლა მოვედი დუქნიდან და დამაცადე შევიქაქანო.

მაგრამ დედა-კაცი არავის არ აძლევდა ნებას, შეესვენა და განცხრომას მისცემოდა, მაშინვე საქმეს გაუჩენდა. უსაქმოდ მჯდომი სტუმარიც კი ეკლად ეჩხირებოდა თვალებში.

დედა-კაცი კიდეც აჭარბებდა ხელმომჭირნეობაში, გარდას გადადიოდა. ყველა დახარჯულ გროშს დაკარგულადა სთვლიდა, თუნდაც ფული ისეთ საქმეზე წასულიყო, რომელსაც შეეძლო შემდეგში სარგებელი მოეტანა.

— ხვალინდელ ქათამს დღევანდელი კვერცხი მირჩევნია! მე დღეს მიჭირს, გეხაცვალეთ, და ხვალისა კიდევ ღმერთმა უწყის,—იტყოდა მართა ამისთანა შემთხვევაში.

მშრომელ მარჯვენასა ისე უყურებდა, როგორც ნაღდ ფულს. თუ კი ვისმე შრომის უნარს შეამჩნევდა, თუ კი ვისიმე შრომა მაშინვე მოუტანდა ოჯახს სარგებლობას, დიასახლისი პირდაპირ თხოულობდა ამისთანა მუშაობას დაუყოვნებლივ, ხოლო იმისთანა შრომას, რომელსაც დღეს არა შემოჰქონდა რა და მხოლოდ ოდესმე შეეძლო გამოეღო ნაყოფი კეთილი, ის არად აფასებდა, ამისთანა გასჯისა არა სწამდარა.. ასეთი შეხედულობის ბრალიც იყო, რომ მისი უფროსი შვილი ბალღობიდანვე ჩაება სასტიკ ხელობაში და დარჩა უსწავლელი. იმის შვილს ივანეს ეხლა კარგად ესმოდა, რომ უმჯობესი იქმნებოდა პირად მისთვისაც და სახლისათვისაც, რომ იგი ჯერ მოემზადებინათ ცხოვრებისათვის და მერე ჩაეკრათ მისთვის თავი თუნდ რკინის ტაბიკებით, მაგრამ გვიან ლა იყო; რაღას უშველიდა ეხლა?! დრო წასული იყო და ხედავდა ჭაბუკი დაღონებული, რომ მთელი თავისი სიცოცხლე მუშა საქონელივით უნდა ეწივნა ჭაპანი უმადურის შრომისა.

3.

ამ ოჯახის ხელმოკლეობა, მისი გაჭირვება და დიასახლისის მეტისმეტი ანგარიშიანობა იყო იმისი მიზეზი, რომ როცა მისმა უმცროსმა შვილმა ბესომ გამოუცხადა დედას, სასწავლებელში სწავლის ფულსა მთხოვენ და ხვალ უთუოდ უნდა წარუდგინოვო, დედაკაცი შეხტა და დაეცა.

— ფული?! საიდან უნდა მოვჰკრა ეხლა შენთვის ფული? ხომ იცი, რა საცოდავი კაცია მამაშენი; იმდენიც კი ვერ შემოაქვს სახლში, რომ კუჭი გაგვიძღოს.

— მაშ რა ვქნა, დედი? ხვალ თუ არ მოიტანო, მითხრეს, დაგითხოვთო.

— თავი ქვას ახალონ, თუ დაგითხოვენ! ეხლა უკვე დიდი ბიჭი ხარ, შენი საკმარისი წიგნი იცი, მუშაობაც შეგიძლიან: წადი დუქანში, მიეშველე შენს მამასა და ძმას; იმდენ მაინც გააკეთებ, თავი შეინახო და ტვირთად არ აწვე სახლს.

დიასახლისმა შემთხვევით ისარგებლა და წარმოსთქვა თავისი გულის ნადები. კარგა ხანი იყო, თავის უმცროს შვილს ისე უყურებდა, როგორც უკვე სახლისათვის გამოსადეგ ძალას. გამოთვლილი ჰქონდა, რა სარფა იქმნებოდა მათთვის, რომ რამე სამუშაოზე დაეყენებინა პატარა. კარგად იცოდა, რომ ბესოს ჰირივით ეჯავრებოდა მამის ხელობა; კმაროდა ის განსაკუთრებითი სუნი, რომელიც ტრიალებდა დაბალის დუქანში, რომ სამუდამოდ ზარ ეყო ბალღს ეს ხელობა. თითონ დედაკაცსაც არ უნდოდა მეორე შვილიც ამავე საქმეში ჩაება, იმას უნდოდა შვილი ბაზაზთან მიეცა და სოვდაგარი გამოეყვანა. თუ პირდაპირ დაბლობაზე მიუთითა დედამ და თავისი ნამდვილი სურვილი ჯერ-ჯერობით დამალა, ეს მხოლოდ იმისთვის, რომ თავის წინადადებით შეეშინებინა ბავშვი და მერე უკეთეს ხელობის შეძლევით გული მოეგო, დაეთანხმებინა. ბესომ რომ მოისმინა დედის სიტყვა, მკაცრი რამ გამომეტყველება აღბეჭდა სახეზე და წარმოთქვა გადაჭრით:

— არ შემიძლიან დაბლობა! გამოსავლელ ტყავების სუნსაც კი ვერ ვაუძლებ. არ მინდა ეგ ხელობა!

— როდი გეკადრება მამისა და ძმის ხელობა! იქნება ცოტა ხნის შემდეგ ჩვენც აღარ გვიკადრო!—დასცინა დედამ.

— არა, დედი, მე რა ხეირი მაყრია ამ ხელობაში, რომ ახლა ბესო ჩავაყენოთ ამავე საქმეში. თანაც ჯერ პატარაა, სუსტი და აბა როგორ შესძლებს ტყავების ზელას წყალში თუ იმათ ბრუნებას.—წაეშველა ბესოს უფროსი ძმა.

— შენ არავინა გკითხავს!—ჩააწყვეტინა ხმა დედამ და ის იყო მიუბრუნდა ბესოს შესატევად, როცა მოესმა ქმრის ხმა:

— მართალს ამბობს, დედაკაცო, ვანუა: სისხლის ოფლსა ვღვრით და ხეირს კი მაინც ვერა ვხედავთ.

— განა შენც გეთქმის რამე?! მითომ შენც ვაჟკაცი ხარ, ოჯახის შემნახველი! შენი უხეირობით არის, რომ ვერაფერს ხეირს ვერა ვხედავთ, თორემ აბა დაბალ ლალუას შეხედე, როგორ ქონი მოიბა გულზე!—გააკმენდინა ქმარს ხმა და მტკიცედ მიჰმართა უმცროს შვილს:—მე ფული არცა მაქვს და ვერც მოგცემ! რახან მამის ხელობაზე გული არ მიგდის, ხვალ წავალ ბაზაზ გიორგისთან, მოველაპარიკები და იმის მაღაზიაში მიგცემ: შენს თავსაც მოუვლი, შინაც შემოიტან ცოტა რამ შეგირდანას,—უბრძანა დედამ და დარწმუნებული იყო, რომ იმის სურვილს დაჰყვებოდნენ პატარაც და დიდებიც, სიამოვნებით დასთანხმდებოდნენ ამაზე, მაგრამ მოსტყუვდა.

— მე სასწავლებელს თავს ვერ დავანებებ. თუ გამომაგდებენ, იქვე თავს მოვიკლავ!—წარმოსთქვა ბესომ მტკიცედ და ცეცხლმა რამ გაურბინა თვალებში.

დედა დააკვირდა შვილს და იგრძნო შეურყეველი ნება თავის პატარისა. მოავლო თვალი სხვებსაც და შეატყო, რომ ისინიც თანაუგრძნობდნენ ბალღს. მიხვდა, რომ ეხლა ველარ გაიყვანდა თავის სიტყვას: პატარას უკვე გაეკვლია თავისი მიზანი და მტკიცედ მიიმართებოდა მისკენ. დედაკაცი არ იყო წინააღმდეგობას ჩვეული და იწყინა ასეთი გადაჭრილი უარი. ჯერ განცვიფრდა, მერე გაფიცხდა, გამწვავდა, განრისხდა, დაცოფა იქაურობა. ეცა ქმარს, სწვდა უფროს შვილს, ჩამოქოქა პატარა, ძირს დასცა მთელი სახლი, მაგრამ ამაოდ დაურჩა ყოველივე: მისი ყოველგვარი ცდა ეხეთქებოდა ბავშვის მტკიცე გადაწყვეტილებას, როგორც სალს კლდეს და იმსხვრეოდა ზედ. პატარის გაბედულმა მოქმედებამ დიდრონებიც წაათამამა, ფხა გამოაჩენინა; ეხლა ესენიც სიტყვას უბრუნებდნენ დედაკაცს, ესარჩლებოდნენ ბესოს, აზრს უწყნავდნენ დიასახლისის და უწუნებდნენ. ამ არაჩვეულებრივმა ამბავმა მთლად გადარია მართა, ადამიანის სახე დაჰკარგვინა. შუაღამე გადასული იყო, როდესაც ძლივს დაწყნარდა ოჯახი. გამწარებულმა სახლობამ როგორც იყო შეაფარა თავი სიბნელესა და ძილს.

**ვ. ბარნოვი**

(შემდეგი იქნება)

შიძისა, გაბუნია-ცაგარლისა, ვასო აბაშიძე, კოტე ყიფიანი,—აი, ამ წარმოდგენის სულის-ჩამდგმელნი. შეუდარებელნი იყვნენ: საფაროვი-აბაშიძისა (ნატალია), გაბუნია-ცაგარლისა (ხამფერა) და ვასო აბაშიძე (ისაია). ეს დამსახურებული მსახიობნი ერთხელ კიდევ მოევლინენ საზოგადოებას და ერთხელ კიდევ ნათლად დაანახვეს ყველას, რომ მათი ბადალი ქართულ სცენას არ მოეპოვება. საუბედუროდ, ეს ნიჭიერი მსახურნი ახალ პიესებსა და ახალ მოთხოვნილებას მაგდენად ველარ ეგუებიან. რამდენადაც სასიამოვნო იყო ხსენებულ ძველ პიესაში ამ ნიჭიერ მსახიობთა თამაშის ნახვა, რამდენადაც სასიამოვნო გრძნობას გვიღვიძებდა გულში ქართველ მსახიობთა ხელოვნური და ცოცხალი თამაში, იმდენად სევდით გვევსებოდა გული, რომ ახლებში ჯერ ვერა ვპოვებთ ისეთ ნიჭიერთ, რომელნიც შესაფერი მემკვიდრენი იქნებიან უკვე ხანში შესულ და ნაჭირნახულევ მსახიობთა. ჩვენის აზრით, კ. ყიფიანი სუსტობდა. ეს როლი (გარასიმ იაკულიჩ) მისი ამპლუა არ არის. სცენაზე ის არა ჰგავდა გაიძვერა, მოტყუებაში გაწვრთნილ ტფილისელ ვაჭარს.

მსახიობნი ტაშით დააჯილდოვეს და საფაროვ-აბაშიძეს თაიგულები მიართვეს.

—

**„ანტიგონა“.** ორშაბათს საარტისტო საზოგადოების თეატრში ძალიან საინტერესო წარმოდგენა იყო. ამ დღეს არტისტის ბარათოვის მონაწილეობით სცენის მოყვარეებმა წარმოადგინეს კლასიკური პიესა, სოფოკლის ტრაგედია „ანტიგონა“. როგორც ვიცით, შარშან „იკარის“ საზოგადოების ინიციატივით ორჯელ დასდგეს ეს პიესა, და საზოგადოება ძალიან გაიტაცა. ეხლაც თეატრი სავსე იყო. მრავლად იყო მოსწავლე ახალგაზრდობა.

ხალხი სიამოვნებით ისმენდა უკვდავ ტრაგედიას. არ მოველოდით სცენის მოყვარეთაგან ასეთ კარგ წარმოდგენას. საუცხოვო ანტიგონაა ქ-ნი ვოლნარსკაია. მშვენიერი ხმა, მკაფიო გამოთქმა. ლექს ყველანი კარგად კითხულობდნენ. ხოროსა და ორკესტრ ხელმძღვანელობდა ნიკ. ქართველიშვილი.

წინა დღეს იქვე დასდგეს ჩეხოვის „სამი და“. ხვალ გაიმეორებენ „ანტიგონის“ დაკლებულის ფასებით.

## შორეულ აღმოსავლეთი

**ომის მოლოდინში.**

ვლადივოსტოკში ცნობა მიიღეს ნიუ-იორკიდან: ამერიკის მთავარ-სამხედრო შტაბის უფროსმა სთქვა მიტინგის დროს ნიუ-ხეევენში, რომ რადგან ამ მოკლე ხანში შორეულ აღმოსავლეთში ომი დაიწყება, ამერიკა დაუყოვნებლივ უნდა დაემზადოს საომრადაო.

მომავალ აპრილის 5-დან 11-მდე ტოკიოში მოხდება თათბირი იაპონელ გენერლების მთავარ სამხედრო შტაბის უფროსის განთქმულ გენერალ ოკუს თავმჯდომარეობით. გენერლები მოილაპარაკებენ იაპონიის დაცვასა და ჯარის მობილიზაციაზე. ამ თათბირს მეტად დიდ მნიშვნელობას აძლევენ. (ბ.).

რუსეთის რკინის გზის ზოგიერთ სადგურზე მანჯურიაში შენიშნეს უცნობი მფრინავი მანქანა, რომელიც დასავლეთისაკენ მიფრინავდა რკინის გზის გასწვრივ. მანქანას ჰქონდა პროჟექტორი, რომლითაც ჰაერში მფრინავები ანათებდნენ რკინის გზას. ცხადია, რკინის გზის გამოკვლევა უნდოდათ.

**რუსეთი და იაპონია.**

გერმანულ გაზ. „ფოსიშე ცაიტუნგ“-ს ატყობინებენ ვენიდან: აქ ცნობა მიიღეს, რომ მალე რუსეთი და იაპონია ახალ პირობას დასდებენ ერთმანეთთან მანჯურიის რკინის გზების შესახებ; ორივე სახელმწიფო მთავრობას იკისრებს, რომ მანჯურიაში გასაყვან რკინის გზებზე ერთად მოილაპარაკონ ხოლმე.

იმავ გაზეთს შეუტყვია, ამერიკის მიერ განზრახული ანტუნგ-აიგუნის რკინის გზა, საეჭვოა, რომ აშენდეს; რადგან რუსეთი და იაპონია წინააღმდეგნი არიან ამ გზისა, თითონ ამერიკამაც ხელი აიღო ამ გზის აშენებაზეა.

**იაპონიის ელჩის მისვლა პეტერბურგში**

22 მარტს პეტერბურგს მივიდა ტოკიოდან იაპონიის ელჩი ბარონი მოტონო თავის ცოლით. მოტონო წარსულ შემოდგომაზე წავიდა ტოკიოში და მას აქეთ იქ იმყოფებოდა. ელჩს სადგურზე დაუხვდნენ საელჩოს ყველა წევრები და პეტერბურგში მცხოვრები იაპონელები.

## ოსმალეთი

**ბოლგარიის მინისტრის აზრი ოსმალეთის ახალ წეს-წყობილებაზე.**

ბოლგარიის ვაჭრობის მინისტრს ლიაპჩევს სტამბოლში ყოფნის დროს უთქვამს „რეჩ“-ის კორესპონდენტისთვის:

„არ მოველოდი ასეთ ამბებს. თავდაპირველად უნდა მოგახსენოთ, რომ ოსმალეთში ახალი წესწყობილება ძლიერ გამაგრებულა, და ამას ხომ მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. ოსმალეთის ფინანსები თან და თან დონეზე მოდის; ფინანსთა მინისტრი ჯავად-ბეი მეტად დიდ საქმეს არიგებს. ყველაზე ძლიერ-კი ჩვენ ბოლგარებს გაგვიკვირდა ოსმალეთის ჯარის წარმატება, ისიც ასეთს მოკლე ხანში. შვიდ დღეს დავრჩით სტამბოლში; ყველას დავუკვირდი; ყველას ვესაუბრე, ვისთანაც კი შეიძლებოდა; და მტკიცედ და გულწრფელად დავრწმუნდი, რომ ოსმალეთის ახალი წესწყობილება საბოლოოდ დამკვიდრებულა.

**თათბირი მუსულმანთა მდგომარეობაზე.**

გერმანულ გაზ. „ფოსიშე ცაიტუნგ“-ს ატყობინებენ სალონიკიდან: ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტი ჰმართავს თათბირს ყველა მუსულმანთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. სალონიკში უკვე მოვიდა ბუხარელ მუსულმანთა დეპუტაცია, 12 კაცისგან შემდგარი ამ თათბირში მონაწილეობის მისაღებად.

## უცხოეთი

**კანონი მუშათა პენსიებზე საფრანგეთში.**

დეპეშიდან უკვე ვიცით, რომ საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ დაამტკიცა კანონ-პროექტი მუშათა პენსიებზე. ეს კანონ-პროექტი პალატამ დაამტკიცა ორი დღის კამათის შემდეგ იმ სახით, რა სახითაც იგი სენატმა მიიღო; ისე რომ ეს კანონ-პროექტი ამ ჟამად უკვე კანონად გადიქცა. ორის სხდომის განმავლობაში სხვა და სხვა პარტიის წარმომადგენლებმა თავიანთ აზრი გამოსთქვეს კანონ პროექტზე და დასასრულ, 18 მარტს, კანონპროექტი თითქმის ერთხმად დაამტკიცა პალატამ, 150 ხმის უმეტესობით 4-ის წინააღმდეგ. დეპუტატები იმ აზრისანი არიან, რომ რაც უნდა დიდი ნაკლი ჰქონდეს კანონს, იგი უეჭველი წარმოადგენს უდიდეს საქმეს ეხლანდელ პარლამენტისას. „ესაა უდიდესი და უმესანიშნავესი საქმე მესამე რესპუბლიკისა,“—სთქვა რადიკალმა დეპუტატმა პულმა, რომელმაც პალატას მოახსენა ეს კანონ-პროექტი და რომელიც წინააღმდეგი იყო სენატის მიერ შეტანილ მრავალ ცვლილებისა. ჟორესი და მისი თანამოაზრენი სამბა, ვარენი და სხვები ხაზგასმით ამტკიცებდნენ, რომ თუმცა ამ კანონს ბევრი ნაკლი აქვს, მაგრამ, როგორც შრომის მინისტრმა ვივიანიმ სთქვა, იგი გაუმჯობესებულ იქნება მომავალშიო.

ჟორესი მით უფრო დიდის სიხარულით მიეგება ამ რეფორმას, რომ გერმანიაში ხან და ხან იტყოდნენ ხოლმე, რომ საფრანგეთს არ შეუძლიან მსხვილ სოციალურ რეფორმების შემოღებაო. ცნობილმა გერმანელმა პროფესორმა დელბრიუკმა ადრე სთქვა: „კანონი მუშათა პენსიებზე. ასეთ კანონის გამოცემა შეუძლიან მხოლოდ ისეთ მაგარ სახელმწიფო სხეულს, როგორიც გერმანიაა, და არა ისეთ არეულ-დარეულ სახელმწიფოს, როგორიც საფრანგეთიაო“.

ეხლაო,—სთქვა ჟორესმა,—ხელახლა უნდა ჩაუდგეთ სათავეში მოძრაობას, დაკარგული დრო მოვიგოთ და რაც შეიძლება სწრაფად გავემართოთ საზოგადოებრივ სამართლიანობისაკენ.

სამაგიეროდ მეტად მკაცრად გაარჩია ეს „ვითომდა რეფორმა“ სოციალისტების მეორე მეთაურმა ჟულ გედმა, რომელმაც ასე დაახასიათა კანონ-პროექტი: „ესაა სახელმწიფოსა და პატრონების მიერ გაძ. რცვა მუშებისა“. გედს სახეში ჰქონდა კანონის ის მუხლი, რომლის თანახმად მუშებიც ვალდებულნი არიან წვლილი შეიტანონ საპენსიო ფონდში. გედის დოქტრინერობა გამოააშკარავა შრომის მინისტრმა ვივიანიმ, რომელმაც გაახსენა გედს, რომ 1897 წელს სოციალისტების ჯგუფი და მათ შორის თითონ გედიც ადგენდა კანონ-პროექტს მუშათა პენსიებზე და ამ კანონპროექტშიაც იყო მუხლი, რომლის ძალით მუშებს ფული უნდა შეეტანათ საპენსიო ფონდში. გედმა ყინადადება შეიტანა, ეს მუხლი ხელახლად განვიხილოთო, მაგრამ მისი წინადადება უარჰყო დიდი ხმის უმეტესობამ, მათ შორის სოციალისტ დეპუტატების უმეტესობამაც. შრომის მინისტრმა ვივიანიმ უკანასკნელ კამათის დროს წარმოსთქვა დიდი სიტყვა და კიდევ ერთხელ მოჰფინა ნათელი კანონის უმთავრეს მხარეებს.

## რუსეთი

◆ **ვარშავის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში.** როგორც ვიცით, ვარშავის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში გაფიცვაა. ამის გამო ადმინისტრაციის განკარგულებით დაუპატიმრებიათ 14 სუდენტი, მაგრამ სტუდენტები მაინც განაგრძობენ გაფიცვას. ინსტიტუტის დირექტორს სტუდენტებისთვის ნება არ მიუცია, რომ კრება გაემართათ და საქმის ვითარება გამოერკვიათ.

◆ **სრულიად რუსეთის მცხოვრებთა აღწერა.** ამას წინად ვწერდით, რომ გადაწყვეტილია სრულიად რუსეთის მცხოვრებთა აღწერა 1911 წლის ბოლო რიცხვებში მოახდინონო. ეხლა, როგორც „რეჩს“ გაუგია, მთავრობას ეს საქმე სხვა დროისთვის გადაუდვია.

◆ **ახალი საპენსიო წესდება.** „კასპ“-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: საწყეროო სამინისტროს სამხედრო პირთათვის ახალი საპენსიო წესდება შეუმუშავებია. წესდებით იმ სამხედრო პირებს, რომლებიც 35 წელს იმსახურებენ, პენსიად მიეცემათ ჯამაგირის 80 პროცენტი, ვინც 25 წელიწადს მას ჯამაგირის ნახევარი. ამას გარდა, გაუქმდება ის წესი, რომლითაც სამსახურიდან გასვლის დროს აფიცერს ერთ ჩინს კიდევ უმატებდნენ. წესდება ძალაში შევა 1911 წლის პირველ იანვრიდან.

◆ **უფლებების შეზღუდვა.** სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, სახელმწიფო საბჭოს წევრს, ნოვგოროდის ეპისკოპოსს ნიკონს ვოლოგდის ეპარქიის სამღვდელოებისთვის წინადადება მიუცია, შეადგინეთ წესდება, რომლითაც სასულიერო სასწავლებლებში სტიპენდიები არ უნდა მიეცეთ ისეთ სამღვდელო პირთა შვილებს, რომლებსაც სამღვდელო ხარისხი პოლიტიკურ რწმენისთვის წაერთვათო. სამღვდელოებას უერხულად უცვნია ასეთი წესდების შედგენა და დაუდგენია, სასწავლებლის პედაგოგიურმა საბჭომ სტიპენდიების მიცემის დროს მოწაფეების მშობლების სიღარიბით და გაჭირვებით უნდა ისარგებლოსო. მიუხედავად ამისა, ეპისკოპოს ნიკონს სამღვდელოებისთვის ხელმეორედ წინადადება მიუცია, გადასინჯონ თავიანთი დადგენილება!!

◆ **რვა საათის სამუშაო დღე.** ივანოვო-ვოზნესენსკში ერთ უდიდეს ქარხანას გადაუწყვეტია შემოიღოს 8 საათის სამუშაო დღე. ქარხანაში ხელოსნებისთვის უკვე დაუწესებიათ 8 საათის სამუშაო დღე. ქარხნის ადმინისტრაციას გადაუწყვეტია, თუ ეს ცდა მუშაობის ნაყოფიერებას არ შეამცირებს და სახეირო გამოდგება, სხვა მუშებისთვისაც 8 საათის სამუშაო დღე შემოიღოს.

◆ **კუდიანი დედაკაცი.** სოფელ ხოტინში შემდეგი ამბავი მომხდარა: გარდაცვლილა მოხუცებული დედაკაცი კოციუბიხი. განსვენებული, როგორც წესია, ჩაუცვიათ კუბოში და შესდგომიან დასაფლავების მზადებას, მაგრამ კოციუბიხი უცბად გაცოცხლებულა, მახლობლებს გული გახეთქიათ და მთელი სოფელი შეუყრიათ. სოფელს აუწონ-დაუწონია ეს ამბავი და გადაუწყვეტია, კოციუბიხი „კუდიანი დედაკაცია“, ამიტომ დიდი ცოდვაა მას რაიმე დახმარება აღმოუჩინოთო. მახლობლებსაც გამოუკეტნიათ კარებები და საწყალი მოხუცებული დედაკაცი ღვთის ანაბარად დაუგდიათ. „კუდიანი დედაკაცი“ მეორე დღეს მართლაც სამუდამოდ გამომშვიდობებია წუთი-სოფელს!!

◆ **უწმინდურები.** გაზეთი „პ. კ.“ შემდეგ ამბავს გადმოგვცემს: სუზდალში საღამოს ლოცვის შემდეგ გიმნაზიის რამდენიმე მოწაფემ სახლში გააცილა ქალთა გიმნაზიის რამდენიმე მოწაფე ქალი. გზაში მათ შეხვდათ „პედაგოგი“ და ამისთანა თავხედობისთვის სასტიკად გაჰკიცხა და მოწაფეებს უბრძანა ქალები მიეტოვებინათ. მეორე დღეს მოწაფეები ეკლესიაში წავიდნენ და ჩვეულებრივამებრ საკურთხეველში შევიდნენ, მაგრამ დახეთ მათ გაკვირვებას, ისინი საკურთხევლიდან გამორეკეს“. თქვენაო, უთხრეს საკურთხეველში, უწმინდურები ხართ, რადგან ქალებთან დაიხეირნებდით, მათ შეეხეთ და ღირსნი არა ხართ საკურთხეველში იყოთო. „უწმინდურები“ დაფიქრებულნი გამოვიდნენ საკურთხეველნიდან, დაიჩოქეს და „ცოდვის“ მონანიებას შეუდგნენო!

◆ **საჩივარი.** რუსეთ-იაპონიის ომის გათავების შემდეგ კაპიტან რუცკის ცოლმა საჩივარი აღძრა სტესსელის ცოლის წინააღმდეგ, როდესაც იაპონელებმა პორტ-არტურს ალყა შემოარტყეს, სტესსელის ცოლმა ჩემი ძროხა მიითვისა, ძროხა 12 თუმანი ღირდაო. გაზეთების სიტყვით, სასამართლოს შეუწყნარებია რუცკის ცოლის საჩივარი.

◆ **გუბერნატორების კრება.** განზრახულია ივნისში მოიწვიონ ყველა გუბერნატორების კრება. კრება განიხილავს რუსეთის შინაურ მდგომარეობას.

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ უმორჩილესად ამ მოწოდებას ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულს გაზეთში. დ. ცაგერში ამ მდგომარე წელს მცირე საშუალებით გაიხსნა უფასო სახალხო სამკითხველო. საუბარი იმაზე, თუ ამგვარ დაწესებულებას რა სარგებლობა მოაქვს ხალხისათვის, მკითხველ საზოგადოებასთან მეტად მიგვაჩნია. მხოლოდ დავსძენთ, რომ დ. ცაგერი და აგრეთვე მთელი ლეჩხუმის მხარე საქართველოს ყოველ კუთხეზე ჩამორჩენილია კულტურულად. ამისათვის ქვემო მოხსენებული კომიტეტი უმორჩილესად სთხოვს ქართველ საზოგადოებას და გაზეთების რედაქციებს, აღმოუჩინონ სამკითხველოს შეძლების დაგვარად შემწეობა, რითაც შეიძლება.

შემოწირულება მიიღება შემდეგის ადრესით: м. Цагери Казначею общества Благочинному священнику Іоанну Маргіани.

სამკითხველოს დამაარსებელ კომიტეტის თავმჯდომარე **ნ. ხარაძე.**

წევრები: ლ. მახარაძე, ბ. მ. ი. მარგიანი, ვარლამ კაციას ძე გელდვანი, ტარახი აზვლედიანი, არხენ მეავანაძე.

—

ჩვენ, ქართველი პოლიტიკურ გადმოსახლებულნი ქ. ნიკოლსკში (ვოლოგდის გუბერნია), რიცხვით ექვსი კაცი, მივმართავთ პატივცემულ საზოგადოებას შემდეგის თხოვნით: ქართულ ლიტერატურას ვართ სრულიად მოწყვეტილნი და რუსული კითხვა კი ჩვენში უმრავლესობამ არ იცის, ამიტომ მოკლებულნი ვართ სულიერ საზრდოს. ვთხოვთ პატივცემულ საზოგადოებას, მიაქციოს ყურადღება ჩვენს მდგომარეობას და გამოგზავნოს ქართული ლიტერატურა, რისთვისაც დავრჩებით დიდი მადლობელნი.

ვასილი არეშიძე, კონსტან. გიორგაძე, მინა, გაგოშიძე, ტატო სამხარაძე, სიმონ ქდენტი, ნესტორ სიმინაშვილი.

ჩვენი ადრესი: Г. Никольскъ (Вологод. губ.) Политическому ссыльному Василію Арешидзе.

ვთხოვთ „ახალი სხივის“ რედაქციას, ჩვენი წერილი გადაბეჭდოს.

—

„დროების“ მე-66 ნომერში მოთავსებული იყო მცირე ცნობა, რომ „სოფელ აბაშაში დაარსდა წ.-კ. გამ. საზოგადოების საჯარო ბიბლიოთეკა-სამკითხველო. ბიბლიოთეკა-სამკითხველოს ნებართვა ეს ორი წელიწადია, რაც ავიღე; ამასთან შევსწირე ცოტაოდენი საჭირო ავეჯეულობაც: დიდი სტოლი, სკამები, შკაფი და სხვა წვრილმანი. წიგნები როგორც ჩემ მიერ შეწირული, ისე, წ.-კ. გამ. საზ. გამოგზავნილი 500 ცალი იქნება. სანამ მე ვცხოვრობდი სოფლად, ბიბლიოთეკა-სამკითხველოც მოქმედებდა. შემდეგ, როცა მე ქალაქში გადმოვედი საცხოვრებლად, ბიბლიოთეკის მართვა გადავეცი ბ-ნთ ევსევი, კონსტანტინე თოფურიას დ სევასტიანე ქოიავას. მაგრამ სამკითხველომ მალე შეაჩერა თავისი მოქმედება. ვინაიდან დღეს წ. კ. გამ. საზოგადოებამ იკისრა მისი პატრონობა, სიამოვნებით ვეგებები ამ სასურველ ამბავს, რომ მომეცა შემთხვევა სისრულეში მოვიყვანო ჩემი განზრახვა და შევსწირო შუა სოფელში მდებარე ალაგი სამკითხველოს საკუთრებად.

**მარიამ მიხეილის ასული კლდიაშვილისა.**

## შეწირულება

წ. კ. საზოგადოებას შესწირეს ნავაჭრის წილი: რაჟდენ ჯაფარიძემ 3 მან., ზაქ. ბაზიერაშვილმა ერთი მან, 20 კ., ნიკ. კიკნაძემ 5 მ., საერომ 10 მან., იასონ ცანავამ 2 მან. ტ. აბულაძემ 50 კ., რამან კორძაიამ 3 მან., სამ. კავლაშვილმა 50 კ. მელ. ხუნდაძემ 1 მან., ნიკ. ორთოიძემ 2 მან., სიმ. გორგასიძემ 40 კ. თედო ხაუტაშვილმა 2 მან., ძაღუ დოლიძემ 1 მან., ნესტორ გიორგობიანმა 1 მან., ივანე ჩქარეულოვმა 2 მან., ნიკ. ცაბაძემ 3 მან., მიხ. აბაშიძემ 3 მან., რაჟდენ მირიანაშვილმა 5 მან., გიორგი ნოზაძემ 5 მან., ალექ. შიოშვილმა 2 მან., ალექსანდრე ბერიაშვილმა 2 მან., კოსტან. ფარცხალაძემ 2 მან., პეტრე მელადაძემ 1 მან, სამსონ მკირტუმოვმა 1—30 კ., ალექსი ზარნაძემ 2 მან. ძმ. ფორჩხიძეებმა 10 მან., მიხ. დავლაშერიძემ 1 მან., ლევან და ალექსან. ჯავახიშვილებმა 5 მან.

## განცხადებანი

### სამედიატორო სასამართლოს განაჩენი

**იოსებ კოხრეიძისა და ყარამან კოპალეიშვილის შესახებ.**

1910 წ. 24 იანვარს ჩვენ, ქვემო ამისა ხელის მომწერი მედიატორენი, მოწვეულნი დ. სამტრედიაში ი. კოხრეიძის და ყ. კოპალეიშვილის სადავო საქმის გასარჩევად, განვიხილეთ რა ყოველივე მხრით მათი საჩივარი საბუთებით, მივედით შემდეგ დასკვნამდე: 1) ზნეობრივის მხრის გარჩევა უყურადღებოდ დავსტოვეთ, რადგან საბუთებიდან ვერც ერთ მხარეს ბრალს ვერ დავსდებთ. 2) საბუთი 60 მანეთისა (1907 წლის თარიღით), რომელიც ყ. კოპალეიშვილმა წარმოადგინა, ამით განსვენებულ ერ. კოხრეიძეს 50 მ. ემართაო, ვერ ვსცანით ნამდვილ საბუთად და უყურადღებოდ დავსტოვეთ, როგორც საბუთი. 3) მივიღეთ ყ. კოპალეიშვილისაგან წარმოდგენილი 1 ნოემბრამდე წიგ. შკაფის ზარალი 36 მან. 33 კ. და ნახევარი დავადევით გადასახდელად ი. კოხრეიძეს. 4) გამოირკვა, რომ ყ. კოპალეიშვილს უნდა მიეცა მოგება ი. კოხრეიძისათვის 15 ოქტომბრამდე 35 მ. 50 კ. აქედან გამოირიცხვის 18 მ. 16 კ. დანარჩენი 17 მ. 34 კ. მოვალეა ყ. კოპალეიშვილი, მისცეს იოსებ კოხრეიძეს. 5) ბე ასი მანეთი, რომელიც მიცემული ყოფილა განსვენებულ ერ. კოხრეიძისაგან იაკოვლევის კონტრაგენსტვოზე და რომელსაც იაკოვლევის რწმუნებული ვლ. რუკოვიჩი თანახმად ყ. კოპალეიშვილის განცხადებისა არ უბრუნებს მემკვიდრეებს, უნდა დაუბრუნდეს სრულიად უპიზეზოდ იოსებ კოხრეიძეს. რასა შინა, ხელს ვაწერთ: თავმჯდომარე გიორგი მ. სიხარულიძე, მედიატორენი: ივ. [illegible], გ. ჯვარიშვილი, ვ. [illegible], მ. პერ[illegible] ძე.

P. S. ზემო აღნიშნულ სამედიატორო სასამართლოს განაჩენის შემდეგ, [illegible] (ამის წელ წერილიც წარუდგინეთ მედიატორებს), ყ. კოპალეიშვილი [illegible] თავის საბუთის განხილვა სამტრედიის მთავრობის სასამართლოში გადაიტანა. რადგან მისი მოქმედებით ჯერ ერთი ითელება სამედიატორო სახალხო სასამართლოს განაჩენი და მერე სიქაჩუკით დაუტკბობელის, ახალგაზრდა და წყნარ მშრომელის, ჩემის ძმის, მასწავლებლის ერ. კოხრეიძის სახელი, რომლის სურათით, ნიშნად სამაგალითო მოქმედებისა, იანეთის საზოგადოება თავის სკოლას ამკობს, ვთხოვ სამედიატორო სასამართლოს თავმჯდომარეს, გიორგი სიხარულიძეს, განმეორებით მოიწვიოს მედიატორენი დ. სამტრედიაში სადაო კითხვის უკეთ გამოსარკვევად, სადაც სასამართლოს წარუდგენ საბუთებს პირველ მუხლის გამოსააშკარავებლად, რომ შემდეგ ყველას სწორი წარმოდგენა ჰქონდეს, თუ რა სიკეთის თავდებია ყ. კოპალეიშვილი და რა სახელი უნდა უწოდოს მის მოქმედებას ხალხმა მწიგნობრობის ისტორიაში, რომლის აგენტად სამტრედიის რაიონში დღეს ის ითვლება. **იოსებ კოხრეიძე.** (1—6.—1)

**ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში**

იღებს შინაგ., ქალ., პებ. და ხიფილ ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—74)

**ქუთაისში**

◀ **კიწმარაშვილის და ამხ.** ▶

**თესლეულობის მაღაზიაში** მიღებულია სხვა და სხვა თესლეულობა ახალ ბოსტნეულის, ყვავილების და ბალახების: იონჯის, სამყურის და კონდრისა. აქვე იყიდება საგანგებოდ დამზადებული ძმათა პასხალიდების თეთრი აბრეშუმის თესლი. მსურველთ კატალოგი უფასოდ ეგზავნება. (25—კვ.—17)

**ვ. ყიფიანის დრამა**

**სამეგრელოს მთავარი ◀ ლევან**

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად გამოცემა გაზ. „დროების“ რედაქციისა და კ. მესხიევისა.

**ფასი ორი აბაზი**

იყიდება „დროების“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

—◀ **სრული პასუხის მგებლობა** ▶—

მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ საუკეთესოდ მოვაწყე

**„ფეხსაცმელების სახელოსნო“**

გვაქვს მზად შეკერილი ფეხსაცმლები ქალებისთვის, კაცებისთვის და ბავშვებისთვის საკუთარი ნამუშავარი—**შევროსი, ხრომისა და სხვა მასალისა,** აგრეთვე ვკერავთ შეკვეთით სუფთად, მკვიდრად და დანიშნულ ვადაზედ. საქონლის სიკარგისათვის გკისრულობ სრულ პასუხის მგებლობას.

ადრესი: წყნეთის ქუჩა, სახლი ხითაროვისა N 28.

**პატივისცემით ივ. სვ. ბერძნიშვილი.**

—◀ **სრული პასუხის მგებლობა** ▶— (25—6.—14)

**დროება**

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

§§§§§§ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს კვირეული§§§§§§

**სურათებიანი დამატება**

**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს **8** მან. **50** კ., ნახევარი წლით—**4** მან. **80** კაპ., ერთი თვით—**80** კაპ.

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური** ◆——

——◆ **დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.**

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

ქალაქ გარედ ხელის მოწერა მიიღება: ქუთაისში—ის. კვიცარიძესთან; ხონში—გიგლა მებუკესთან; გორში—სევ. შველიძესთან; ჭიათურაში სოფრომ ტარუაშვილთან.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

******ხელის მომწერთა საყურადღებოდ******

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„დროების“ კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.

ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, редакція „Дроэба“, И. С. Агладзе.

სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3

რედაქტორ-გამომცემელი 0. ხ. აგლაძე,